პროლოგი

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!
და თავდაპირველად პროლოგი.
და თავდაპირველად ურჩხულისეული უვერტიურა_მონოლოგი.

<u>ურჩხული:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

მე ვარ ურჩხული, მუდმივი, მსოფლიო, კრებითი ბოროტება.

მსოფლიო მოფენილია ჩემი მსახურთა ლეგიონებით, თუმც უნდა ვაღიარო, დიდი არ არის იმათი რიცხვი, ვინც ყრმობიდანვე, თვისი შინაგანი ბუნებით, გულით და სულით, მოწადინებულია ჩემს ურჩხულისეულ სამსახურში ჩადგეს, მაგრამ არავის ძალუძს ისე მარჯვედ და ლაზათიანად გამოიყენოს ადამიანთა ბუნების სისუსტენი, როგორც მე_ურჩხულს. არადა ჩემდა სახეიროდ თქვენ_ადამიანებს სისუსტე მრავლად გაქვთ, როგორც დაბადებით თანდაყოლილი, ასევე ცხოვრების მანძილზე თანდათანობით შეძენილი; სწორედ ამიტომ ხდებით ჩემი მსახურნი, ხშირად საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც:

გამეხებული პირწავარდნილი კარიერისტები;
შურიანობის სენით შეპყრობილნი;
ძუნწნი, ხარბნი და გაუმაძღარნი;
ღვარძლით და ბოღმით მცხოვრებნი;
ენისმიმტანნი და მაბეზღარნი, ჩივილის მოყვარულნი;
ისინი, ვისაც_რომ იტყვიან_ძალა ერჩის, ხოლო ის არ იციან, ეს ძალა, როგორ გამოიყენონ, რას მოახმარონ;
ისინი, ვისაც საკუთარი მე_ს თვითგანმტკიცების საშუალებად სხვისი დაჩაგვრა და დამცირება მიაჩნია;
ისინი, ვისაც გაფიქრებაც ვერ გაუბედავს, რომ კანონის ან საზოგადოებრივი აზრის მიერ დაწესებული ყველა ნორმა შესაძლოა სულაც არ იყოს ჭეშმარიტად მაღალზნეობრივი;
ისინი, ვინც საპირისპირო უკიდურესობაში ვარდება და კანონის ან საზოგადოებრივი აზრის მიერ დაწესებულ ყოველგვარ ნორმას უგულებელყოფს ან არად აგდებს.

ზემოჩამოთვლილნი მხოლოდ ჩემი ბრმა იარაღი, ჩემი რიგითი მსახურები არიან. ხოლო ჩემი სამსახურის მოწინავე მოღვაწენი_პრინციპული, ენერგიული, თუმცა შეზღუდული თვალსაწიერის ფანატიკოსები, სასტიკნი და შეშლილნი, ჟიუტად და მეთოდურად სჩადიან ბოროტ საქმეებს, სჩადიან გულწრფელად, გულმოდგინედ და ბეჟითად. მათ სიძნელელები არ აშინებთ, პირიქით, ძალას მატებთ, და_ყოველი მომდევნო დაბრკოლების გადალახვის შემდეგ_მეტი თვითდაჟერებით განაგრძობენ უანგარო მოღვაწეობას...

უანგარობა! მართლაცდა რა მშვენივრად Jღერს ეს სიტყვა, არაწ! სხვადასხვა დროის და ერის არა ერთ და ორ მწერალს მიუძღვნია ქებათა ქება უანგარობისადმი.

არადა რა იშვიათია უანგარობა ადამიანებში... ჩემი ურჩხულისეული სამსახურის მოწინავე მოღვაწენი მართლაც უანგარონი არიან, თუმც ამაში ისინი მეტად გვიან რწმუნდებიან; უანგარონი არიან, რადგან საბოლოოდ ისინი ჩემი მსახურებით ხეირს ვერ პოულობენ. მე მათ ვიყენებ, ვხმარობ და შემდეგ სანაგვისაკენ მოვისვრი... მათი ენერგიული მოღვაწეობის საბოლოო მონაგარია: ცოდვების ტვირთით დამძიმებულ, სიცივით და ზიზღით გარემოცულ, სულიერად დაცარიელებულ კაცთა ბედი, რომელთაც სიკვდილის შემდგომ ჟოჟოხეთი ელოდება...

მე არ მჭირდება გამუდმებით, შეუსვენებლივ მოქმედება. ჩემი ურჩხულისეული ენერგიის წუთიერი აფეთქებებიც საკმარისია, რათა კარგა ხანს დავაბუდო მწუხარება და ცრემლი. იმდენად უძლეველი ვარ, რომ გულახდილად შემიძლია გელაპარაკოთ, ანდა ჩემი სუსტი მხარეები რად უნდა დავმალო... მაგის შნო და უნარი ვინ მოგცათ, რომ მე_ურჩხულს შემებრძოლოთ?! თუმცა შნო და უნარი რა სახსენებელია, თუ ჩემთან შეჭიდების სურვილიც არა გაქვთ...

მე არც ისეთი შეუვალი და აუღებელი ციხესიმაგრე ვარ, როგორც თქვენ გგონიათ... ჩემი ძლევამოსილების მთავარი მიზეზი სხვაა. მე_ურჩხული იმითაც ვარ უძლეველი, რომ თქვენ_ადამიანებს არ გსურთ აღიაროთ ჩემი არსებობაც და მით უმეტეს ის, რომ ფრიად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენ. არცაა გასაკვირი, ეგ სიმართლე თუ ხმამაღლა ითქვა, ჩემზე უხერხულ მდგომარეობაში ხომ თქვენ_ადამიანები აღმოჩნდებითო?! ეს ხომ თქვენ_ადამიანებმა ააწყვეთ თქვენი ცხოვრება, ურთიერთდამოკიდებულებები ისე, რომ საშუალება მომეცით თქვენს ყოფაში ფეხი მომეკიდა. ხოლო მე ამქვეყნად ფეხი ისე მარჯვედ და მტკიცედ მოვიკიდე, რომ შუაგულ დედამიწაში ფესვები გავიდგი, და მსოფლიოს უამრავი ტოტით ვჩრდილავ...

ენები, ერები, სახელმწიფოები, წესწყობილებები წარმოიქმნებოდნენ, იცვლებოდნენ, ისპობოდნენ და მხოლოდ მე, ასაკით რამდენიმე ათასი წლისა, ისეთივე ძლევამოსილი ვარ და ვიქნები, როგორიც ვიყავ.

მე_ურჩხული, მუდმივი, მსოფლიო, კრებითი ბოროტება.

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

მაყურებელთა დარბაზი_პარტერიც და იარუსიც_განათებულია.

და მაყურებელთა დარბაზი_პარტერიც და იარუსიც_მაყურებლით სავსეა.

ხოლო სცენაზე ფარდა დაშვებულია.

და მაყურებელთა დარბაზში სინათლე ქრება.

ხოლო ფარდის იქით ჩოჩქოლია, ხმაური თანდათან მატულობს, ხმები მოისმის, თითქოსდა ფრაზებსაც წარმოთქვამენ...

და აჰა, მაყურებელთათვის უჩინარი შეხლა_შემოხლა მთავრდება, და ფარდის წინ, მკრთალად განათებულ ავანსცენაზე, მე_მასხარა გამოვდივარ, და მაყურებელთა დარბაზს შევათვალიერებ, და თითქოსდა შემცბარი, ასე შევძახებ.

,,Маестро, ლა მუსიცა, პერ ფავორე!”

და უჩინარი მაესტროსადმი ჩემი შეძახილის პასუხად თუ დასტურად მუსიკა გაისმის, და მუსიკის ხმოვანება უფრო და უფრო მატულობს...

ხოლო მე ავანსცენიდან ჩემს სათქმელს წარმოვთქვამ.

ბატონებო და ქალბატონებო!
სამარადJამო, უსასრულო, და ყოვლისმომცველი დრო...
ხოლო ეგრეთ წოდებული აღმოსავლური კალენდრისა თორმეტი წელია.
მამლისა.
ძაღლის.
ტახის.
თაგვის.
ხარის.
ვეფხის.
კურდღლისა.
მფრინავი_დრაკონის (Drakon_volans).
გველის.
ცხენის.
ცხვრისა.
და მაიმუნის.
და აღმოსავლური კალენდრისა თორმეტივე წელი გასრულდება, და წელთა ათვლა ხელახლა იწყება იგივე სახელწოდებებით და თანმიმდევრობით.
და აღმოსავლური კალენდრისა თორმეტი წლიდან 365_დღე_ღამიანი არანაკიანი წლებია.
მამლისა. ძაღლის. ტახის. ხარის. ვეფხის. კურდღლისა. გველის. ცხენის. ცხვრისა.
ხოლო აღმოსავლური კალენდრისა თორმეტი წლიდან 366_დღე_ღამიანი ნაკიანი წლებია მხოლოდ.

თაგვის. მფრინავი_დრაკონის. მაიმუნის.

ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ყოველი წლისა ასტრონომიულად უმნიშვნელოვანესი ოთხი თარიღია: გაზაფხულის ბუნიობა ანუ დღეღამტოლობა; ზაფხულის მზებუდობა; შემოდგომისა ბუნიობა ანუ დღეღამტოლობა; და ზამთრისა მზებუდობა.
და 365_დღე_ღამიან არანაკიან წლებთან შედარებით 366_დღე_ღამიან ნაკიან წლებში ასტრონომიულად უმნიშვნელოვანესი ოთხივე თარიღი ერთი დღე_ღამით ადრე უწევს.
ხოლო ყველა წელი_365 დღე_ღამიანი არანაკიანი წლებიც და 366_დღე_ღამიანი ნაკიანი წლებიც_ასტრონომიული ნიშნებით განიყოფა თორმეტ ზოდიაქოდ, რომელთა სახელწოდებებია: თხის_რქისა; მერწყულის; თევზების; ვერძის, და გაზაფხულის ბუნიობა ვერძის ზოდიაქოს პირველი დღეა; კუროს; ტყუპის ანუ მარჩბივთა; კირჩხიბის, და ზაფხულის მზებუდობის დღე კირჩხიბის ზოდიაქოს პირველი დღეა;

ლომის; ქალწულის; სასწორის, და შემოდგომისა ბუნიობა სასწორის ზოდიაქოს პირველი დღეა; მორიელის ანუ ღრიანკლისა; და მშვილდოსნისა; და ისევ თხის_რქისა, და ზამთრისა მზებუდობის დღე თხის_რქისა ზოდიაქოს პირველი დღეა...

ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ახლა, აქ, უჩინარი მაესტროს ნება_სურვილით: ფარდა მაღლა იწევა, და სცენა ნათდება.

და სცენის შუაში.

ბატონი მთხრობელი.

და ქალბატონი მთხრობელი.

და ორივეს მიკროფონი მოუმარჟვებია.

<u>ბატონი მთხრობელი, და ქალბატონი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

საქართველო.

ისტორიულ_გეოგრაფიული მოკლე მიმოხილვა.

და საქართველოა: ივერია; და ლიხს_დასავლეთი.

ხოლო ივერიაა: ლიხს_აღმოსავლეთი; და მესხეთი.

ხოლო ლიხს_აღმოსავლეთია: ქართლი; და კახეთი.

და ქართლში, შიდა_ქართლში, სადაც მდინარე მტკვარს მარცხნიდან მდინარე არაგვი შეერთვის_მდინარის მტკვრისა ორივე მხარეს, ხოლო მდინარის არაგვის მარჟვენა მხარეს_საქართველოს თავდაპირველი დედაქალაქი და საქართველოს სამეფოს თავდაპირველი სატახტო_ქალაქი მცხეთა.

და ქართლში, ქვემო_ქართლში, ტფილისის ქვაბულში მდინარის მტკვრისა ერთი მონაკვეთი მოქცეულია, და ტფილისის ქვაბულის შუაგულს, მდინარის მტკვრისა ორივე მხარეს_საქართველოს სამეფოს სატახტო_ქალაქი ტფილისი.

ხოლო მესხეთი იყო: სამცხე; და (ჩამოთვლა ანბანური თანმიმდევრობით): ამიერტაო; არტაანი; აჭარა; გურია; ერუშეთი; თორთომი; თორი; იმიერტაო; კლარჟეთი; კოლა; ოლთისი; პარხალი; სპერი; შავშეთი; ჭანეთი; ჟავახეთი.

ხოლო თავის დროზე მესხეთს გურია გამოეყო და ლიხს_დასავლეთს იგი მიუერთდა.

<u>ბ ნი მთხრობელი, და ქ ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ბიბლიური, ძველი_აღთქმისა.

იობედ ბეთლემელი.

და იობედ ბეთლემელის პირმშო და მხოლოდშობილი ძე იესე ბეთლემელი.

და იესე ბეთლემელის ერთ_ერთი ძე, ფსალმუნთ_მთხზველი წინასწარმეტყველი და ისრაელის ხელმწიფე დავითი.

და ფსალმუნთ_მთხზველის წინასწარმეტყველის და ისრაელის ხელმწიფისა დავითის ერთ_ერთი ძე, ისრაელის ხელმწიფე ბრძენი სოლომონი...

ხოლო მათი დროით შორეული თუმცა პირდაპირი შთამომავლობა.

იობედიან_იესეიან_დავითიან_სოლომონიან ბაგრატიონთა საქართველოს და ქართლის და კახეთის და ლიხს_დასავლეთის მეფეთა და სამეფო ტახტთა მემკვიდრე უფლისწულთა და ბატონიშვილთა და უგანათლებულეს_თავადთა სამეფო დინასტია.

და იობედიან_იესეიან_დავითიან_სოლომონიან ბაგრატიონნი განთქმულ_ყოფილან: მხნეობით, და სიბრძნე_ქველობით, და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულებით, და ქვეყნისათვის თავდადებულებით...



<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო მე დავძენ.

ჩვენი რომანისთვის ისტორიული ექსკურსები ანუ დროსა შინა წიაღსვლები არც

აუცილებელია და არც სასურველია.

ჰოდა, დროა.

ჩვენი რომანის პროლოგს წერტილი დაესვას.

და იმ დროში_თუ დროებაში გადავინაცვლოთ, რა დროსაც ჩვენს რომანში მოსათხრობი ამბები მოხდება...

პირველი ფრაგმენტი

<u>ბ_ნი მთხრობელი, და ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა მეტრიკული წიგნებიდან ამონაწერი.

ლიხს_დასავლეთი, ქვემო_იმერეთი, და უფრო ზუსტად ქვემო_იმერეთის შუაგულს, მდინარის რიონის პირას_ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქი ქუთაისი.

ჟვარდაწერილი მეუღლენი.

იესე იობედის ძე ქაჟაია, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით ცხვრის წელსო, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოშიო.

და მარიამ იოაკიმეს ასული მიქელაძე, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით კურდღლის წელსო, და ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოშიო.

და მათ შესძენიათ და მოესწროთ ორი შვილი, ორი ძე.

მელქისედეკ იესეს ძე ქაჟაია, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში, ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში.

და დავით იესეს ძე ქაჟაია, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით მორიელის ზოდიაქოში, ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში.

ბ_ნი მთხრობელი, და ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ივერია. ლიხს_აღმოსავლეთი. ქართლი. ქვემო_ქართლი. ტფილისის ქვაბული.

და ტფილისის ქვაბულში, მდინარის მტკვრისა ორივე მხარეს_თავის დროზე საქართველოს სამეფოს სატახტო_ქალაქი და ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი.

და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში.
მტკვრისა მარჯვენა მხარეს.
სამეფო_უბანში, ნარიყალის მთაზე, თავის დროზე იმ მთასა ზედა აღმართული ნარიყალის ციხესიმაგრის შემორჩენილი გალავნისა ჩრდილოეთ კედელთან მდგომი, თუ მტკვრისა დინების აღმა მზერას მიაპყრობთ, და თქვენს თვალწინ თითქოს ხელისგულზე გაშლილ არე_მარეს დააცქერდებით.

ჩრდილოეთით_სამეფო_უბნისა და გარეთ_უბნისა და სოლოლაკის უბნისა შესაყართან_თავისუფლებისა მოედანი.

და გარეთ_უბანი სამეფო_უბანს და სოლოლაკის და მთაწმინდისა და ვერის უბნებს შემოუსარტყლავთ.
და კარგა ხანია ქალაქის ტფილისის შუაგულია ეგრეთ წოდებული გარეთ_უბანი.

და ეგრეთ წოდებულ გარეთ_უბანში.

თავისუფლების მოედნიდან ჩრდილოეთის მიმართულებით შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტი შოთა რუსთაველის სახელობისვე მოედნამდე.

და თავისუფლების მოედნიდან ჩრდილოეთის მიმართულებითვე_შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტის საწყისი მონაკვეთის პარალელურად_მიხეილ ტარიელის ძე ლორის_მელიქოვის სახელობის ქუჩა.

მიხეილ ტარიელის ძე ლორის_მელიქოვის სახელობის ქუჩა #1, თავის დროზე ტფილისის ქრისტიანულ_მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია პანსიონით... და თავისუფლების მოედნისაკენ ყოფილი სასულიერო სემინარიის პანსიონით სამსართულიანი შენობისა ფასადი მიმართულია.

მიხეილ ტარიელის ძე ლორის_მელიქოვის სახელობის ქუჩა #5, ტფილისის საჟარო_ბიბლიოთეკის პირველი და მეორე კორპუსები.

ხოლო ტფილისის საჟარო_ბიბლიოთეკის პირველი და მეორე კორპუსების უკანა ყრუ კედელთან ყოვლად_წმიდისა სამებისა ეკლესია.

მიხეილ ტარიელის ძე ლორის_მელიქოვის სახელობის ქუჩა #7, ტფილისის საჟარო_ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი.

შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტი #7 / მიხეილ ტარიელის ძე

ლორის_მელიქოვის სახელობის ქუჩა #20, სასტუმრო `ორიენტი~.

შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტი #10, ტფილისის ვაJთა კლასიკური გიმნაზია.

<u>ბ_ნი მთხრობელი, და ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!
და ჩვენვე დავძენთ.
ყოველთვის.
და ყველგან.

გიმნაზიების მოსამზადებელ კლასში იღებენ მოსწავლეებს, რომლებსაც ახალი სასწავლო წლისა დაწყებამდე ცხრა წელი შეუსრულდათ.

და გიმნაზიებში სწავლება ცხრაწლიანია: მოსამზადებელი კლასი, და პირველი_მერვე კლასები.

<u>ბ_ნი მთხრობელი, და ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!
იესე იობედის ძე ქაჟაიასი და მისი ცოლ_შვილის ახალი ადგილსამყოფელი, მათი ახალი საცხოვრებელი ადგილი.

ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჯვენა მხარე, ეგრეთ წოდებული გარეთ_უბანი, შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტი #14, სამსართულიანი სახლი, პირველ სართულზე სავაჭრო ობიექტები, მეორე და მესამე სართულებზე ბინები, ხოლო ეზოსა შინა_ფოტო_გრაფიული ატელიე_სალონი, და ბინები.

და მათ იმ სახლის მეორე სართული_სავაჭრო ობიექტების თავზე_დაუკავებიათ.

<u>ბ_ნი მთხრობელი, და ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ეგრეთ წოდებულ გარეთ_უბანთან და მთაწმინდის უბანთან ჩრდილო_დასავლეთით, შოთა რუსთაველის სახელობის მოედანს იქით, ვერის უბანი.

ხოლო ვერის უბნისა შემდეგ.

ვარაზის_ხევს იქით ვაკის დასახლება.

ხოლო გმირთა მოედანს იქით საბურთალოს დასახლება.

და ვაკეში ტფილისის უნივერსიტეტის კორპუსებია.
ხოლო საბურთალოზე ტფილისის ტექნიკური უმაღლესი სკოლის კორპუსებია.

ბ ნი მთხრობელი, და ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

მელქისედეკ იესეს ძე ქაჟაია_ტფილისის ვაJთა კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული; და ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნის_მეტყველების ფაკულტეტის ბიბლიოლოგიის ანუ წიგნთმცოდნეობის განხრით კურსდამთავრებული.

ხოლო დავით იესეს ძე ქაჟაია_ტფილისის ვაJთა კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული; და ტფილისის ტექნიკური უმაღლესი სკოლის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის განხრით კურსდამთავრებული.

ბ ნი მთხრობელი, და ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

აზიისა დასავლეთი: კურაიშების არაბული ტომი, და იმ ტომის მამამთავრისა ჰაშიმის პირდაპირი შთამომავლობა ანუ ჰაშიმიდების საგვარეულო_სირიისა და ერაყის და იორდანიისა სამეფო დინასტია.

ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ზულფია აბდ ალ_ლაჰის ასული ჰაშიმიდი ივერიის მთავარ_ქალაქის ტფილისის მკვიდრი გახლდათ.

ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!
და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში დავით იესეს ძე ქაჟაიას და ზულფია აბდ ალ_ლაჰის ასულ ჰაშიმიდს უქორწინიათ.

და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში დავით იესეს ძეს და ზულფია აბდ ალ_ლაჰის ასულს ორი_სამი წელი ერთად უცხოვრიათ... არადა დავით იესეს ძე ზულფია აბდ ალ_ლაჰის ასულს სწორედ_რომ მაშინ გაშორებია, როს იგი დაორსულებულა.

ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!
და ამჟერად ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში დავით იესეს ძე ქაჟაიას ერთმორწმუნესთან და თანამემამულესთან უქორწინია.
და დავით იესეს ძის ახლანდელი_თანამიმდევრობით მეორე მეუღლე ნათელა ნიკოლოზის ასული გახლავთო.

ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო დავით იესეს ძე ქაჟაიასი პირველმა მეუღლემ ზულფია აბდ ალ_ლაჰის ასულმა ჰაშიმიდმა შვა ძე.

და დედამ მას დაარქვა მურვანი.

<u>მასხარა:</u> და მურვან დავითის ძე ქაჟაია დაიბადა აღმოსავლური კალენდრით კურდღლისა წელს, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით იესო ქრისტეს შობისა საეკლესიო დიდი დღესასწაულის წინა ორმოცდღიან მარხვისას, ხოლო უფრო ზუსტად ასტრონომიული ნიშნებით მშვილდოსნისა ზოდიაქოს ბოლო დღეს_ზამთრის მზებუდობის დღისა ანუ მშვილდოსნისა ზოდიაქოს მომდევნო თხის_რქისა ზოდიაქოს პირველი დღისა წინადღეს, პარასკევს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და დავით იესეს ძე ქაჟაიასი ახლანდელმა_თანამიმდევრობით მეორე მეუღლემ ნათელა ნიკოლოზის ასულმა შვა ძე.

და დედ_მამამ მას დაარქვა აბესალომი.

<u>მასხარა:</u> და აბესალომ დავითის ძე ქაჟაია დაიბადა აღმოსავლური კალენდრით კურდღლის წლისა მომდევნო მფრინავი_დრაკონის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო შემდგომ დავით იესეს ძე ქაჟაიას და მის ახლანდელ_თანამიმდევრობით მეორე მეუღლე ნათელა ნიკოლოზის ასულს შეეძინათ სამი შვილი, სამი ასული.

გუარანდუხტ დავითის ასული ქაჟაია.

ეკატერინე დავითის ასული ქაჟაია.

და მართა დავითის ასული ქაჟაია. თუმც იგი ოთხი წლისა გარდაიცვალა.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და იყო და არა იყო რა, და იყო ერთი სახელმწიფო, რომელსაც მისმა დამაარსებლებმა მაშრიყ_მაღრიბეთი დაარქვეს.

და მაშრიყ_მაღრიბეთის შემადგენლობაში იყო ას ერთი სახანო.

სპარსეთის ფედერაცია განიყოფა ოცდასამ მეტროპოლიურ სახანოდ.

ხოლო ეგრეთ წოდებული ნებაყოფლობით შემოერთებული ტერიტორიები მოიცავდა_არც მეტი და არც ნაკლები_სამოცდათვრამეტ ეგრეთ წოდებულ პერიფერიულ სახანოს.

და მაშრიყ_მაღრიბეთის მთავარ_ქალაქი და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქი იყოო ქალაქი ყაზვინი, რომელიც სპარსეთის ჩრდილო_დასავლეთშია, კერძოდ თეირანის მეტროპოლიურ სახანოში, თეირანის, მაზანდარანის, და გილანის მეტრო-

პოლიური სახანოების მიჟნასთან... თუმცა მაშრიყ_მაღრიბეთის მესვეურებს მაშრიყ_მაღრიბეთის მთავარ_ქალაქის და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქის მაღალი სტატუსი ქალაქ ყაზვინისთვის გაუუქმებიათ, და მაშრიყ_მაღრიბეთის მთავარ_ქალაქად და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქად გამოუცხადებიათ ქალაქი ისპაჰანი, რომელიც სპარსეთის შუაგულსაა, მდინარის ზენდურადის პირას, და მანამდე ისპაჰანისვე მეტროპოლიური სახანოს მთავარ_ქალაქი იყო.

<u>მასხარა:</u> და მაშრიყ_მაღრიბეთის ყველა მეტროპოლიურ სახანოში და ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ პერიფერიულ სახანოში მაშრიყ_მაღრიბეთის მესვეურთა მიერ დანიშნული გენერალ_გუბერნატორები მბრძანებლობდნენ, ხოლო მაშრიყ_მაღრიბეთის უმეტეს ეგრეთ წოდებულ პერიფერიულ სახანოს მაშრიყ_მაღრიბეთის მესვეურთა მიერ დანიშნული გუბერნატორები განაგებდნენ.

და მაშრიყ_მაღრიბეთში ყველა გენერალ_გუბერნატორს საშტატო განაწესით ჰყავდა ორი მოადგილე, ხოლო გუბერნატორებს თითო მოადგილე; და გენერალ_გუბერნატორები და გუბერნატორები უფლებამოსილ იყვნენ თვითონვე დაენიშნათ თავ_თავისი მოადგილეები ანუ ვიცე_გუბერნატორები.

და მაშრიყ_მაღრიბეთის ყველა მეტროპოლიური და პერიფერიული სახანო განიყოფოდა მაზრებად. და გენერალ_გუბერნატორები და გუბერნატორები თავ_თავის სახანოში თვითონვე ნიშნავდნენ მაზრების უფროსებს.

<u>ბ ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებულ პერიფერიულ სახანოში გენერალ_გუბერნატორი მბრძანებლობდა.

ხოლო მაშრიყ_მაღრიბეთის ლიხს_დასავლეთის ეგრეთ წოდებულ პერიფერიულ სახანოს გუბერნატორი განაგებდა.

და მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოა: ლიხს_აღმოსავლეთი; და მესხეთის: სამცხე; თორი; ჟავახეთი.

ხოლო მაშრიყ_მაღრიბეთის ლიხს_დასავლეთის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოა: ლიხს_დასავლეთი; და მესხეთის: აჭარა.

<u>მასხარა:</u> ხოლო მე დავძენ.

ხოლო ოსმანთა სასულთნოსია: მესხეთის: ამიერტაო; არტაანი; ერუშეთი; თორთომი; იმიერტაო; კლარჟეთი; კოლა; ოლთისი; პარხალი; სპერი; შავშეთი; ჭანეთი.

<u>ბ ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიან წელს, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვისას, მურვანს ცხრა წელი შეუსრულდა.

ხოლო აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიანი წლისა მომდევნო ხარის წელს.

ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში აბესალომს ცხრა წელი შეუსრულდა.

ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ახალი სასწავლო წლიდან, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ეგრეთ წოდებულ გარეთ_უბანში, შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტი #10, ტფილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში მურვანი და აბესალომი სწავლას ერთად შეუდგნენ...

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით მამლისა წელს, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვისას, მურვანს თვრამეტი წელი შეუსრულდა.

ხოლო აღმოსავლური კალენდრით მამლის წლისა მომდევნო ძაღლის წელს.
ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში მურვანმა და აბესალომმა ტფილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასი დაასრულეს, გიმნაზიაში სწავლის სრული, ცხრაწლიანი კურსი გაიარეს.
და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოშივე აბესალომს თვრამეტი წელი შეუსრულდა.
ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში მურვანი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. და იგი მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის წევრის_მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს გენერალ_გუბერნატორის ადიუტანტ_რეფერენტად დანიშნეს.

და ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოშივე, ახალი სასწავლო წლიდან, აბესალომი ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნის_მეტყველების ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლას შეუდგა...

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო თავის დროზე.

დავით ვარდენის ძე იოსელიანი და მისი მეუღლე სოფიო სიმონის ასული კინწურაშვილი.

და მათი ადგილსამყოფელი, მათი საცხოვრებელი ადგილი.

ლიხს_დასავლეთი, ქვემო_იმერეთი, მდინარის რიონის მარჯვენა მხარეს_ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქის ქუთაისის ჩრდილო_დასავლეთით

შორიახლო დაბა_კურორტი წყალტუბო, ეგრეთ წოდებული გამოღმა_მთა, დავით ვარდენის ძის მამაპაპეული კარ_მიდამო. Ы

და მათ შესძენიათ და მოესწროთ სამი შვილი, ერთი ასული და ორი ძე.

ნათელა დავითის ასული იოსელიანი.

ჟონდო დავითის ძე იოსელიანი, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში.

და გივი დავითის ძე იოსელიანი.

და წყალტუბოს #1 საშუალო სკოლაში სამივე დედმამიშვილს უსწავლია...

თუმც აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ჟონდოს თექვსმეტი წელი შესრულებია, და მას იქაურობა დაუტოვებია.

და მისი ახალი ადგილსამყოფელი, მისი ახალი საცხოვრებელი ადგილი.
ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარცხენა მხარე, მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობის პროსპექტი #43 / გაბრიელ მკრტიჩის ძე სუნდუკიანის სახელობის ქუჩა #2, ორსართულიანი სახლი, ღვინის სარდაფით, პირველ სართულზე საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტი, ხოლო მეორე სართულზე, და ეზოსა შინა_ბინები.
და მას იმ სახლის მეორე სართულზე_საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტის თავზე_ერთ_ერთი ბინა დაუკავებია.
და ჟონდო დავითის ძე ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მუშაობდა.
და იგი ერთხანს ავტოსატრანსპორტო მსხვილი გაერთიანების მთავარი_ინJინერი გახლდათ.
ხოლო აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, მას ორმოცდაორი წელი შეუსრულდა.
და სწორედ_რომ მაშინ მან იმ საკმაოდ შემოსავლიან თანამდებობაზე თუ ადგილზე უარი თქვა.
და მაშინვე მტკვრისა მარცხენა ნაპირთან, თვისი საცხოვრებლის მახლობლადვე წისქვილი შეისყიდა.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> და ჟონდო დავითის ძეს ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებიდან_როგორც ძველი ისე ახალი დროის წიგნებიდან, და როგორც საეკლესიო ისე საერო წიგნებიდან_გარკვეული ტენდენციის ციტატები გამოწვლილვით ამოუკრეფია...

და მან იმ წისქვილის გარეთა კედლებზე ის ციტატები თვალსაჩინოდ გადაწერა.

თუმცა მან წისქვილის გარეთა კედლებზე ადამიანთა მოდგმისა და მათი ბუნებისა და ზნე_ქცევის უფრორე გამკიცხავ და გამკილავ და აუგად მომხსენებელ ციტატებს თავი მოუყარა.

მაგალითად, შოთა რუსთაველისეული.

`გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი, გული Jამ_Jამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი, გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი, ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!~

და თუმცა ჟონდო დავითის ძეს თურმე ჰუმანური მიზანი ჰქონდა... მაგრამ მიზანი რჩება მიზნად, ხოლო წისქვილის კედლებიდან ციტატების ერთობლიობა იმგვარად ზემოქმედებს, რომ მის წამკითხველთა უმრავლესობაში ალბათ არა ჰუმანურ, არამედ სხვაგვარ და საპირისპირო რეაქციას გამოიწვევს...

<u>მასხარა:</u> ხოლო აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიანი წლისა მომდევნო ხარის წლისა მომდევნო ვეფხის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ჟონდო დავითის ძეს, კერძო მესაკუთრეს, წისქვილის პატრონს, ორმოცდაოთხი წელი შეუსრულდა.

<u>ქ ნი მთხრობელი:</u> ხოლო ჟონდო დავითის ძის მეუღლე ნინო მიტროფანეს ასული მესხი გახლავთ.

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!
ხოლო თავის დროზე.
კონსტანტინე ანტონის ძე იოსელიანი და მისი მეუღლე ალექსანდრა კალისტრატეს ასული Jღენტი.

და მათი ადგილსამყოფელი, მათი საცხოვრებელი ადგილი.

ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარცხენა მხარე, მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობის პროსპექტი #35, ორსართულიანი სახლი მანსარდით, პირველ სართულზე საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტი, ხოლო მეორე სართულზე, და მანსარდაში, და ეზოსა შინა_ბინები.
და მათ იმ სახლის მეორე სართული_საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტის თავზე_ეკავათ.
და მათ შესძენიათ ოთხი შვილი, ორი ასული და ორი ძე.

ელენე კონსტანტინეს ასული იოსელიანი, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოში.

ნათელა კონსტანტინეს ასული იოსელიანი.

იოანე კონსტანტინეს ძე იოსელიანი, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით ვეფხის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში.

და მერაბ კონსტანტინეს ძე იოსელიანი. თუმც იგი ექვსი თუ შვიდი წლისა გარდაცვლილა.

<u>ქ ნი მთხრობელი:</u> ელენე კონსტანტინეს ასული.

ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ეგრეთ წოდებულ გარეთ_უბანში, შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტი #17, ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

და ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო და სამსახიობო ფაკულტეტების პედაგოგი, პროფესორი.

და თეატრალური რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სპექტაკლები დაუდგამს: ტფილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში; ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრ_სტუდიაში; ტფილისის მეორე აკადემიურ თეატრში; შიდა_ქართლში, გორის გიორგი დავითის ძე ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში; საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების ტფილისის სანიტარული კულტურის თეატრში; და ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში.

ხოლო ნათელა კონსტანტინეს ასული.

ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი, მომავალი მსახიობი, და_როგორც ამბობენ_დიდი ნიჭისა, თუმც იგი ავად შეიქნა, და თვრამეტი თუ ცხრამეტი წლისა გარდაცვლილა.

<u>მასხარა:</u> ხოლო იოანე კონსტანტინეს ძე.

ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარცხენა მხარეს, ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში სწავლობდა...

ოთხჯერ მსჟავრდადებული განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი.

და აღმოსავლური კალენდრით გველის წელს: ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში იოანე კონსტანტინეს ძეს ოცდაცხრამეტი წელი შეუსრულდა; ხოლო ასტრონომიული ნიშნებით სასწორის ზოდიაქოში იგი ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში დაბრუნდა...

ხოლო აღმოსავლური კალენდრით გველის წლისა მომდევნო ცხენის წლისა მომდევნო ცხვრისა წელს: ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში იოანე კონსტანტინეს ძეს ორმოცდაერთი წელი შეუსრულდა; ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ლომის ზოდიაქოში მან ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე მისაღები საკონკურსო გამოცდები ჩააბარა; ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ახალი სასწავლო წლიდან, იგი ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლას შეუდგა...

და იოანე კონსტანტინეს ძე, დრამატურგი.

`სტუმარი~, განსჟა ორ_ნაწილად.

`შავი კატა~, დრამა ორ_ნაწილად.

,,Uლტიმა რატიო~, დრამა ორ_ნაწილად.

`ეთერიანი~, ტრაგედია_ზღაპარი ორ_ნაწილად.

და `მასხარა~, თანამედროვე_ფარსი ორ_მოქმედებად.

ხოლო აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში: იოანე კონსტანტინეს ძეს მიეცა დიპლომი, რომ ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლის სრული, ხუთწლიანი კურსი გაიარა და საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია; და მას ორმოცდაექვსი წელი შეუსრულდა.

ხოლო აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიანი წლისა მომდევნო ხარის წლისა მომდევნო ვეფხის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში, იოანე კონსტანტინეს ძეს, დრამატურგს, ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, და ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო_კვლევითი სექტორის სწავლულ_მდივანს, პროფესორს, ორმოცდარვა წელი შეუსრულდა.

ხოლო იოანე კონსტანტინეს ძისა სათეატრმცოდნეო შრომები.

`თეატრმცოდნე და დრამატურგი სერგი იოანეს ძე ამაღლობელი და სოციალური ოპტიმიზმის თეატრი~.

`კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები~.

`ჰერმენევტიკა და თეატრი~.

`თეატრმცოდნე დემეტრე სევერიანეს ძე ჟანელიძე~.

და `ნარკვევები და ესეები და რეცენზიები“.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> ხოლო იოანე კონსტანტინეს ძის მეუღლე სუსკია იოანეს ასული ბოლქვაძე გახლავთ.

სუსკია იოანეს ასული_`კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც_იოანე კონსტანტინეს ძის თქმითვე_დედისა და დისა არ იყოს, იმთავითვე ელოდა მას, უმეტესწილად ან პატიმარს ან უგზო_უკვლოდ გადაკარგულს.~

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო თავის დროზე რომაელებისა პონტიფექს_მაქსიმუსის და რომის რესპუბლიკის პრეტორის და კონსულის და დიქტატორის და მათი უდიდებულესობისა რომის პირველი იმპერატორის გაიუს იულიუს ცეზარის საგანგებო_ბრძანებით დაკანონებული და შემოღებული კალენდარი.

ხოლო იესო ქრისტეს შობიდან ანუ ახალი ერისა 1582 წელს, ხოლო

აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელს, მათი უწმიდესობისა ქრისტიან_კათოლიკეების მამამთავრისა და რომის პაპის გრეგორიუს XIII ბონკომპანის საგანგებო_ბრძანებით დაკანონებული რეფორმირებული_კალენდარი.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო დაკანონებისას რეფორმირებული_კალენდრისა გაიუს იულიუს ცეზარის დროინდელ კალენდარს ანუ ძველი სტილის კალენდარს რეფორმირებული_კალენდარი ანუ ახლებური სტილის კალენდარი თარიღობრივად 10 დღე_ღამით უსწრებდა.

ხოლო იმ დროში_თუ დროებაში, რა დროსაც ჩვენს რომანში მოსათხრობი ამბები ხდება, ამ ორ კალენდარს შორის თარიღობრივი სხვაობა 13 დღე_ღამეა.

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით ვეფხის წელი.

და ასტრონომიული ნიშნებით მშვილდოსნისა ზოდიაქო.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვა.

ძველი სტილით 6 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ანუ ახლებური სტილით 19 დეკემბერი, ხუთშაბათი.

<u>მასხარა:</u> და იმ დღეს, ახლებური სტილით 19 დეკემბერს, ხუთშაბათს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში.

აბესალომი, ოცდაორ_ნახევარი წლისა, ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნის_მეტყველების ფაკულტეტის ბოლო, მეხუთე კურსის სტუდენტი.

მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ეგრეთ წოდებულ გარეთ_უბანში, ყოვლად_წმიდისა სამებისა ეკლესიაში შევიდა... ხოლო ყოვლად_წმიდისა სამებისა ეკლესიიდან გამოსულმა თავდაღმართ მტკვრისაკენ გასწია... ეგრეთ წოდებული მშრალი ხიდი, და მის გაგრძელებაზე_მტკვარზე გადებული_მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობის ხიდი, და მტკვრისა მარცხენა მხარე, მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობისვე მოედანი, ხოლო იმ მოედნიდან ჩრდილოეთის მიმართულებით_მტკვრისა მარცხენა სანაპიროს პარალელურად, თუმცა მტკვრისა დინების საპირისპიროდ, მტკვრისა დინების აღმა_მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობისვე პროსპექტი... და მტკვრისა მარცხენა სანაპიროს, მტკვრისა დინების

საპირისპიროდ, მტკვრისა დინების აღმა აუყვა... და ჟონდო დავითის ძისა წისქვილთან მონუსხულივით შედგა...

<u>აბესალომი:</u> მაშ, წიგნებს იმიტომ კითხულობს, რომ ადამიანთა მოდგმის უფრორე გამკიცხავი და გამკილავი და აუგად მომხსენებელი ციტატები გამოწვლილვით ამოკრიფოს, და წისქვილის გარეთა კედლებზე ისინი თვალსაჩინოდ გადაწეროს!?...

<u>მასხარა:</u> ხოლო ჟონდო დავითის ძე იმ დროს თვისი წისქვილიდან გამოვიდა.

<u>აბესალომი (ჟონდო დავითის ძეს მიმართავს):</u> წიგნებიდან ადამიანთა მოდგმაზე ამგვარი თვალსაზრისის ციტატების გამოწვლილვით ამოკრეფა, და წისქვილის გარეთა კედლებზე მათი თვალსაჩინოდ გადაწერა, ნუთუ აუცილებელია!?

<u>ჟონდო დავითის ძე:</u> ამ ციტატების ავტორები ხომ ერის ჩინებული, ნიჭიერი შვილები არიან...

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით ვეფხის წლისა მომდევნო კურდღლისა წელს.

ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში ჟონდო დავითის ძეს ორმოცდახუთი წელი შეუსრულდა.

და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოშივე აბესალომს ოცდასამი წელი შეუსრულდა.

ხოლო ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში აბესალომს მიეცა დიპლომი, რომ ტფილისის უნივერსიტეტის სიბრნძნის_მეტყველების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის განხრით სწავლის სრული, ხუთწლიანი კურსი გაიარა და საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია.

და ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოშივე იოანე კონსტანტინეს ძეს ორმოცდაცხრა წელი შეუსრულდა.

ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ძველი სტილით 19 აგვისტოს, ხოლო ახლებური სტილით შემოდგომისა პირველ დღეს_1 სექტემბერს, ორშაბათს, ახალი სასწავლო წლიდან, აბესალომი ტფილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლას შეუდგა, ფსიქოლოგიის მაგისტრის და იურისპრუდენციის ლიცენციატის სამეცნიერო ხარისხების ერთდროულად მაძიებელი შესატყვისი სადისერტაციო შრომისათვის მასალების შეგროვებას შეუდგა, ხოლო ასპირანტურაში

სწავლების ხანგრძლივობა სამი სასწავლო წელია...

ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ქართული ფოლკლორული ეპოსი `ეთერიანი~.

და პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილის ლიბრეტო.

და ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის `აბესალომ და ეთერი~, ოპერა ოთხ_მოქმედებად.

მეფისა აბიოს და დედოფლისა ნათელას პირმშო ძე, სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული აბესალომი.

და მეფისა აბიოს ვეზირი მურვანი.

მასხარა: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო იოანე კონსტანტინეს ძე.

„ეთერიანი“, ტრაგედია_ზღაპარი ორ_ნაწილად.

და ქართული ფოლკლორული ეპოსის `ეთერიანი~ ფაბულის იოანე კონსტანტინეს ძის დრამატურგიული ინტერპრეტაცია_ვარიაცია თურმე სხვაგვარია, თავისებურია.

და იოანე კონსტანტინეს ძის პიესაში თურმე: მეფე_ხელმწიფისა პირმშო ძენი, ტყუპი ძმები, სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული პირველშობილი აბესალომი და ბატონიშვილი მურვანი, დიახ, ტყუპი ძმები, და თანაც ეგრეთ წოდებული ერთკვერცხისეული ტყუპისცალები, და ამით განპირობებული ერთნაირი გენოტიპი, და შესაბამისად გარეგნული სრული მსგავსება.

ქ_ნი მთხრობელი: და იოანე კონსტანტინეს ძის პიესაში თურმე: სწორედ_რომ აბესალომის და მურვანის გარეგნული სრული მსგავსებით გამოწვეული ეთერისეული საბედისწერო შეცდომის ფონზე გაშლილია სამიჟნურო_სამკუთხედის ტრაგიკული ურთიერთობა, და მათდამი პიესის პერსონაჟთა დამოკიდებულება...

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარცხენა მხარე, ტფილისის მეორე აკადემიური თეატრი.

იოანე კონსტანტინეს ძე.

`ეთერიანი~, ტრაგედია_ზღაპარი ორ_ნაწილად.

სპექტაკლის პრემიერა შედგა აღმოსავლური კალენდრით კურდღლისა წელს, და ასტრონომიული ნიშნებით თევზების ზოდიაქოში, ძველი სტილით 16 თებერვალს, ხოლო ახლებური სტილით გაზაფხულის პირველ დღეს_1 მარტს, შაბათს.

დამდგმელი რეჟისორი ნინო იშხნელი.

მხატვარი თეიმურაზ სუმბათაშვილი.

კომპოზიტორი ფილიპე ღლონტი.

ქორეოგრაფი საქართველოს დამსახურებული არტისტი იური კიევეცკი.

რეჟისორის თანაშემწე თეიმურაზ ფშეშინსკი.

მთავარი მოქმედი პირნი და შემსრულებელნი.

აბესალომი და მურვანი_ჟემალ მონიავა.

ეთერი_ნანა ჩიქვინიძე.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> სპექტაკლში მონაწილეობენ.

საქართველოს სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი, საქართველოს სახალხო არტისტი ელენე ყიფშიძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი შოთა გაბელაია, საქართველოს დამსახურებული არტისტი გიორგი გელოვანი, საქართველოს დამსახურებული არტისტი გივი გოგუა, საქართველოს დამსახურებული არტისტი ავთანდილ ვერულეიშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტი გიორგი ტატიშვილი, ალეკო ალავიძე, ამირან ბუაძე, ბონდო გოგინავა, გურამ ვახტანგიშვილი, ვახტანგ თანდილაშვილი, ვაჟა კვიტაიშვილი, კობა კობაიძე, თენგიზ კოშკაძე, ავთანდილ მიქაძე, შოთა მშვენიერაძე, ვაჟა ფირცხალაიშვილი, ნიკოლოზ წიკლაური, გულიკო ემხვარი, ლია კაპანაძე, ლია პიტავა, მაია ტატიშვილი, ასმათ ტყაბლაძე, ნანა ხარხელი.

<u>აბესალომი:</u> ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარცხენა მხარე, ტფილისის მეორე აკადემიური თეატრი.

იოანე კონსტანტინეს ძე.

`ეთერიანი~, ტრაგედია_ზღაპარი ორ_ნაწილად.

დროოზ!... სპექტაკლი პირველი ნახვისას ისე აღვიქვი, თითქოსდა ამბავი

წარმართულ ხანაში ხდება. თუმცა სპექტაკლის უკვე მეორე ნახვისას, ისეთიPშთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ამბავი შესაძლებელია მაინცდამაინც წარმართულ ხანაში არც ხდებოდეს, მაგრამ პიესისეული_და შესატყვისად სპექტაკლისეული_სახელმწიფოს ქვეშევრდომნი_მცხოვრებნი, მათი სოციალური მრავალგვარობის მიუხედავად, რელიგიურად თანაბრად გაუნათლებელნი არიან, და ამიტომაც იქაურობას კერპობა, გარეგნული ზერელე რიტუალობა და ფაქტობრივი ათეიზმი მოსდებია, იერარქიული კიბის ყველა საფეხური საბნელეს შთაუნთქავს...

ხოლო თვით პიესა_მუდმივსაკაცობრიო ურთულეს ამოუწურავ კითხვებს ეხმიანება: სიცოცხლე, არსებობა, სიყვარული, ყოფიერება, სახელმწიფოებრივი ტირანია და პიროვნების თავისუფლება, სიბრძნე_ჭეშმარიტების ძიება_დაუფლების ურწმენოდ ფუჭი მცდელობა, ამქვეყნიურ უკვდავებაზე აკვიატებული ფიქრი_ოცნება, და უკვდავების ზღაპრული წყლისა იქნებ მიგნება, ქმედობა თუ გულხელდაკრებილობა, ამაოებათა ამაოება, ყოფნა_არყოფნა, სიცოცხლე და სიკვდილი თუ გარდაცვალება, სასოწარკვეთა თუმც იმედის კიაფიც...

ხოლო პიესისა_და სპექტაკლის_აპოთეოზი, მკითხველს_და მაყურებლებს_თითქოსდა სამომავლო იმედს, ნათლისა პერსპექტივას გვიტოვებს, არადა სპექტაკლს მაყურებელი ცოტა ჰყავს, თუმცა სპექტაკლის ყოველმხრივ აღქმისათვის ეს უკეთესიცაა...

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით კურდღლის წლისა მომდევნო მფრინავი_დრაკონის ნაკიან წელს.

ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში ჟონდო დავითის ძეს ორმოცდაექვსი წელი შეუსრულდა.

და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოშივე აბესალომს ოცდაოთხი წელი შეუსრულდა.

ხოლო ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში იოანე კონსტანტინეს ძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით მფრინავი_დრაკონის ნაკიან წელსვე, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვისას, მურვანს ოცდახუთი წელი შეუსრულდა.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> და იგი მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს ერთ_ერთი მაზრის უფროსად დააწინაურეს.

მეორე ფრაგმენტი

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით მფრინავი_დრაკონის ნაკიანი წლისა მომდევნო გველის წელი.

და ასტრონომიული ნიშნებით მერწყულის ზოდიაქო, და ერთ დღესაც.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> და იმ დღეს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარცხენა მხარეს, ტფილისის მეორე აკადემიურ თეატრში, იოანე კონსტანტინეს ძეს აბესალომი შეხვდა.

<u>აბესალომი (იოანე კონსტანტინეს ძეს მიმართავს):</u> აქ, ამ თეატრში, `ეთერიან~_ს, ტრაგედია_ზღაპარი ორ_ნაწილად, არა ერთხელ და არა ორჯერ დავესწარი... და ქართული ფოლკლორული ეპოსის `ეთერიანი~ ფაბულის თქვენმა დრამატურგიულმა ინტერპრეტაცია_ვარიაციამ ღრმად ჩამაფიქრა, და ჩემში გარკვეული ლიტერატურული ასოციაციები გამოიწვია, და ჩემს ფანტაზიაზე ზეიმოქმედა... და ქართული ფოლკლორული ეპოსის `ეთერიანი~ მოტივებზე_და თქვენი პიესის `ეთერიანი~ შთაბეჭდილებით_მე პიესის ფაბულა მომაფიქრდა, რომელიც ქაღალდზე გადავიტანე, აი, ეს, თხუთმეტგვერდიანი ხელნაწერია...

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და იოანე კონსტანტინეს ძეს_აბესალომის ხელნაწერი_აბესალომის მიერ ჩაფიქრებული პიესის ფაბულა_წაუკითხავს...

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით გველის წელი, და ასტრონომიული ნიშნებით ისევ მერწყულის ზოდიაქო, და ერთ დღესაც.

ქ_ნი მთხრობელი: და იმ დღეს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, აბესალომი_ქართული ფოლკლორული ეპოსის `ეთერიანი~ მოტივებზე_და იოანე კონსტანტინეს ძის პიესის `ეთერიანი~ შთაბეჭდილებით_და იოანე კონსტანტინეს ძის რჩევისამებრ_წერას შეუდგაო, თუმც_არა პიესის ანდა პიესების ციკლის, არამედ_,,ნათელი და ბნელი“, რომანი პიესის სახით ჩაწერილი.

და იმ დღეს მან რომანის პროლოგი ქაღალდზე გადაიტანაო.

ხოლო მომდევნო დღეებში მან რომანის პირველი და ეს, მეორე ფრაგმენტები ქაღალდზე გადაიტანაო...

მესამე ფრაგმენტი

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა_აღმოსავლური კალენდრით გველის წლისა_ორმოცდარვადღიანი დიდი მარხვა_ასტრონომიული ნიშნებით თევზების ზოდიაქოში_ძველი სტილით 8 თებერვალს ანუ ახლებური სტილით 21 თებერვალს, და რაღა თქმა უნდა ორშაბათს დაიწყო

მასხარა: ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით გველის წელი.

და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქო.

ძველი სტილით 25 მარტი, ხუთშაბათი.

ანუ ახლებური სტილით 7 აპრილი, ხუთშაბათი.

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით ყოველწლივ.

ძველი სტილით 25 მარტი, მთავარანგელოზის გაბრიელის მიერ ყოვლად_წმიდისა მარიამის ხარებისა საეკლესიო დიდი დღესასწაული.

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა.

ორმოცდარვადღიანი დიდი მარხვისა ბოლო, მეშვიდე კვირეულის ანუ ვნების კვირეულის დიდი ხუთშაბათი: საიდუმლო სერობისა_ფერხთა ბანვისა ხსენება!

<u>მასხარა:</u> ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჯვენა მხარე, და ქალაქის ჩრდილო_დასავლეთით ვაკისა და საბურთალოს სასაფლაოები.

და ახლა საბურთალოს სასაფლაოს მთავარ შესასვლელთან ჩვენც_ანუ აბესალომი, და მე_მასხარა_ვართ.

და საბურთალოს სასაფლაოს მთავარ შესასვლელთან მათხოვრები გამწკრივებულან სამგლოვიარო პროცესიების მოლოდინში.

<u>აბესლომი:</u> მათხოვრები, ადამიანები, რომლებიც_ყოველთვის, და ყველგან_სხვა ადამიანებისგან მკვეთრად განირჩევიან... მათხოვრები ფულის შოვნის მარტივ ხერხს ფლობენ: თხოვნის ნიშნად გაწვდილი ხელი და მუდარა, უსიტყვო ან ბუტბუტით წარმოთქმული... და ყველასგან მკვეთრად განსხვავებულნი და გარიყულნი, ნეტავი, რით სულდგმულობენ, და რაზე ოცნებობენ, და რაზე ფიქრობენ...

<u>მასხარა:</u> საბურთალოს სასაფლაოს მთავარი შესასვლელის ფართოდ გახსნილი კარიბჭე, ხოლო მის ზღურბლს იქით სასაფლაოს მთავარი გზა_სასაფლაოს სიღრმეში მიმავალი.

და აბესალომმა იმ ზღურბლს გადააბიჯა და იმ გზას ნელ_ნელა გაუყვა.

და იმ გზის ორივე მხარეს საფლავის ქვებთან აგრეთვე მათხოვრები გამწკრივებულან...

<u>იოანე_ლაზარე ზებედეს ძე (აბესალომს მიმართავს):</u> ხოლო თავის დროზე.

ლიხს_დასავლეთში, ქვემო_იმერეთში, და უფრო ზუსტად ქვემო_იმერეთის

შუაგულს, მდინარის რიონის პირას_ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში.

ჩვენს ბაბუას, მამის მამას, მას მე არ მოვსწრებივარ, თვისი პირმშო ძისათვის, ჩვენი მამისათვის, დაურქმევია სახელი ზებედე.

ხოლო შემდგომ.

და ისევ ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში.

ჩვენს მშობლებს, ჩვენს მამას, ბატონ ზებედეს და მის მეუღლეს, ჩვენს დედას, ქალბატონ სალომეს, შესძენიათ და მოესწროთ ოთხი შვილი, ორი ძე და ორი ასული.

და ჩვენმა მამამ, ბატონმა ზებედემ.

თვის პირმშო ძეს დაარქვა სახელი იაკობი.

ხოლო მომდევნო ორ ასულს დაარქვა სახელები მართა და მარიამი.

ხოლო მეოთხე, უმრწემეს შვილს, მეორე ძეს, მე, დამარქვა ორსახელი: იოანე_ლაზარე.

ასე რომ, ჩვენთვის ანუ ჩემიანებისთვის და ჩემთვისაც_ბიბლიური, ახალი_აღთქმისა, წმიდისა_ოთხთავის მოქმედ პირთა_სახელდებითვე თავისებურება თუ უცნაურობა განუშორებლად თანამდევია...

დიახ, მე, იოანე_ლაზარე ზებედეს ძე, დაბადებული აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში, ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში.

ეჰ, ყოველი ადამიანის ამბავი ხომ სხვადასხვაგვარიაწ!... ჰოდა, ჩემი ამბავიც ცოტა სხვაგვარია. მათხოვრობა როდია ჩემი ძირითადი პროფესია; ჩემს მშობლიურ ქალაქში ვმსახურობ, ჟამაგირი_ალბათ ხვდებით_საშუალო მაქვს, და უცოლშვილო კაცი საშუალოდ კიდეც ვცხოვრობ... თუმცა ყოველწლივ, ასტრონომიული ნიშნებით თევზების ზოდიაქოში, ახლებური სტილით თებერვლისა მიწურულს_როგორც წესი_სამსახურში ანგარიშსწორებას ვიღებ და თქვენთან, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში მოვეშურები... და აქ, აი, ამგვარად ფულს ვშოულობ. ჩემს მშობლიურ ქალაქში ამის შესახებ_რა თქმა უნდა_არავინ არაფერი არ იცის. ჩემს ნაცნობ_ახლობლებს ჰგონიათ, რომ მე სადღაც შორეთში_რომ იტყვიან_ცხრა მთას იქით, კომერციულ საქმიანობას ვეწევი; ზოგიერთი, როგორც მათი ლაპარაკიდან ჩანს, ფიქრობს, რომ მე იქ აფიორა_მაქინაციებში ვმონაწილეობ. არასდროს მიცდია მათი ვარაუდების გაქარწყლება, დაე, ასე ეგონოთ... სინამდვილეში, ამ დროს ტფილისში ვარ და მართლაც ფულს ვაკეთებ, ოღონდ, აი, ამგვარი გზით. ღარიბულ ოთახს ვქირაობ, რამდენადაც შესაძლებელია იერს ვიცვლი, ღატაკურად ვიმოსები, და ყოველ დილით სასაფლაოზე მოვემართები, და მზის ჩასვლამდე, აქ, ერთი და იგივე, შეჩვეული საფლავის ქვასთან, მორთხმით ვზივარ, ხოლო ფეხებთან, აი, ეს, დაჭმუჭნული, გადმოტრიალებული ქუდი მიდევს... არადა, მთელი დღე უსაქმოდ ყოფნა ძნელია, მოსაბეზრებელიცაა, ჰოდა, გამოსავალი მოვნახე: ყოველთვის, და

ყველგან, აი, ამ, ქარვისა კრიალოსანს აუცილებლად თან ვატარებ, და კრიალოსანს ხელში მარცვალ_მარცვალ ჩათვლით ვათამაშებ, თავის გასართობად, გულის გადასაყოლებლად. ხოლო მოსაღამოებულს დაბინდებისას ფეხზე წამოვდგები, წელში გავიმართები, სასაფლაოს მომდევნო ხვალინდელ დილამდე დავემშვიდობები, გზად იაფფასიან სასადილოში დავნაყრდები, და ჩემს დროებით ღარიბულ ოთახში დასაძინებლად გავეშურები... ისე, რაც მართალია, ტფილისში მოწყალებას გულუხვად გაიღებენ, თანაც... ხოლო კოლეგებისგან_მათხოვრებისგან თავი შორს მიჭირავს, უფრო განზე ვარ გამდგარი... ადამიანთა ცხოვრებასა და ურთიერთდამოკიდებულებებს, რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ადამიანები განგებ იგონებენ მრავალგვარ დამატებით დაბრკოლებას, რათა მათი მეშვეობით ზედმეტად გაართულონ ერთმანეთისა და თავიანთი ცხოვრებაც... არც საკუთარი თავით ვარ კმაყოფილი... კანონიწ! აქაც ვცდილობ შეძლებისდაგვარად თავი შორს დავიჭირო მისი კლანჭებიდან. საერთოდ კანონები მეტისმეტად მკაცრი მეჩვენება, მაგრამ ხანდახან ისეთ შემაზრზენ ამბავს გაიგებ, რომ რწმუნდები_კანონების გარეშე ჟერჟერობით მაინც, სამწუხაროდ, შეუძლებელია ადამიანთა ყოფის წარმოდგენა... სიყვარულიწ! იგი ალბათ მაინც არსებობს, თორემ ნუთუ ყველა ის წიგნი და აგრეთვე რეალური ადამიანებიც, რომლებიც ირწმუნებიან შეყვარებული ვარო, ნუთუ ყველა ტყუის და პოზიორობსწ!... არა, აქა_იქ, იგი ალბათ მართლაც არსებობს, მაგრამ მე სიყვარულის გრძნობა არასდროს არ განმიცდია და მჟერა, რომ მისი განცდა არც შემდგომში მომიწევს, ანდა რაღა დროსია; აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში, ორმოცდასამი წელიც შემისრულდება. მიმიხვდით, რომ ამას ქალ_ვაJის სიყვარულზე ვამბობ, თორემ სიყვარული მშობლების, დედმამიშვილების, ნათესავების, მეგობრების, ბავშვების მიმართ, ეს გრძნობები ჩემთვის ცნობილია... იდეალები ყმაწვილკაცობისას მეც გამაჩნდა. სიმონ ბოლივარი, ლაიოშ კოშუტი, ჟუზეპე გარიბალდი... ეს სახელ_გვარები ჩემს ყმაწვილურ ფანტაზიას აღაფრთოვანებდნენ. თუმც ეს აღფრთოვანება თანდათანობით შენელდა. არა, მათ ახლაც პატივს ვცემ, მაგრამ მთლიანად მათი ნამოღვაწარი, საბოლოო შედეგები, რომელთა წინასწარ განჭვრეტა მეტად ძნელია, და თანაც ის უამრავი სისხლი, რომელიც იმ დროს იღვრება... არა, ვიცი, რომ ეროვნული თავისუფლება მსხვერპლის გარეშე იშვიათად თუ ვინმეს მოუპოვებია, მაგრამ თავდადებულნი მსხვერპლად ეწირებიან, მათი სისხლით მოპოვებულ გამარჯვებათა ნაყოფს სხვები იმკიან, ისინი, ვინც სისხლის ღვრისა დროს უფრო ფრთხილნი იყვნენ და ამიტომ გადარჩნენ, ანდა სულაც ისინი, ვინც უკვე გამარჯვების შემდეგ გამარჯვებულთ მიეტმასნენ. ყოველივე ამან ეროვნულ_განმათავისუფლებელ მოძრაობათადმი ჩემი ენთუზიაზმი შეანელა...

ღმერთიწ! დიახ, ღმრთისა მორწმუნე კაცი ვიყავი და ვარ; თუმც ეკლესიურ_რიტუალურ ყველა წესს ზუსტად ყოველთვის არ ვიცავდი; და სულის უკვდავებაში დარწმუნებული ვარ, და მჟერა: იმქვეყნად არსებობს სამოთხე, და ჟოჟოხეთი, და მეუფისა წინაშე ხორცით სიკვდილის შემდგომ სულით უნდა წარვდგე, და მეუფისა მიერ განსჟილ უნდა ვიქნე ჩემი ამქვეყნიური ცხოვრებისდა მიხედვით. ყოველივე ეს, რომ ასე არ იყოს, მაშინ დიდად გაუგებარი იქნებოდა, რატომ და რისთვის შეიქმნა და არსებობს სამყარო, და ამქვეყნად ადამიანთა დროებით სტუმრიანობას, რა აზრი, მიზანი, დანიშნულება და გამართლება აქვსწ!...

ერთი რამეც მინდა გითხრათ. თავის დროზე, ჩემს მშობლიურ ქალაქში,

ქრისტიან_მართლმადიდებელი საეკლესიო პირი ცხოვრობდა. ქუთაისის ქრისტიანულ_მართლმადიდებლური სასულიერო სასწავლებლისა კურსდამთავრებული, და ტფილისის ქრისტიანულ_მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიისა კურსდამთავრებული... ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო სამღვდელო იერარქიით_დეკანოზი... ხოლო შემდგომ მათი უწმიდესობისა საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კათოლიკოს_პატრიარქის ,,უშუალო კეთილმიხედულეობით˜ იგი მიტრით დაუჯილდოებიათ. დიახ, იგი მიტრით დაჯილდოებული და თავშებურული დეკანოზი ანუ მიტროსანი დეკანოზი გახლდათ... ხოლო შვიდი წლის წინ, აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში, როს ოცდათექვსმეტი წელი შემისრულდა, რატომღაც დიდი საჩუქარი მივიღე: განსვენებული მიტროსანი დეკანოზის გამოუქვეყენებელი ხელნაწერების მფლობელი შევიქენი... და იმ ხელნაწერებმა, თავიანთი აზრით და შინაარსით, ჩემს სულს და გულს და გონებას წარუშლელი კვალი დაამჩნიეს, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი კაცი არ ვარ, გავლენებისა და შთაბეჭდილებების ქვეშ, რომ იოლად ვექცეოდე. მას მერე, მართალია, ჩემი ცხოვრების წესი და რიგი გარეგნულად თითქმის არ შეცვლილა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, ხოლო სხვა მხრივ...

ჰო, ბარემ, ჩემი მონათხრობი დავასრულო. ყოველწლივ, ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ახლებური სტილით აგვისტოს მიწურულს, იერს მოვიწესრიგებ, კოხტად ჩავიცმევ, ტფილისიდან გუდა_ნაბადს ავიკრეფ, და ექვსი თვის განმავლობაში თქვენთან მოხვეჭილი ფულით მშობლიურ ქალაქში ვბრუნდები. და აი, იმ ფულით, ერთი თვე, არა, მხოლოდ სამი კვირეული, განცხრომას ვეძლევი. თითქმის ყოველდღე, დილიდანვე, ჩემთვის ძვირფას ადამიანებთან_კოლორიტულ, სუფრის მასშტაბით, და ნაკლებსერიოზულ, ყოველ შემთხვევაში სუფრაზე ყოფნის დროს_თანამეინახეებთან, შამპანურის მშვენიერ სითხეში_რომ იტყვიან_ვბანაობ, თან ეგოისტურ სიამოვნებას განვიცდი, რომ ეს ხელგაშლილი ღრეობები ჩემი მიზეზით იმართება და შამპანურმა, როგორც არ უნდა დამათროს, ის მაინც არ მავიწყდება, რომ არ უნდა წამომცდეს თუ ექვსი თვის განმავლობაში სად ვიყავი და ფულს როგორ ვშოულობდი. სამ კვირეულში ის ფული ილევა, სამსახურს ვიწყებ და უცოლშვილო კაცი საშუალო ჟამაგირით ვცხოვრობ... მერე ყოველივე თავიდან იწყება; ტფილისში ისევ მოვეშურები ფულის საშოვნელად. Dდიახ, ეს ასეა... და შემდეგში ალბათ ასევე იქნება. აბა, რა! შამპანურით ხელგაშლილი ღრეობა ძალიან მიყვარს, თუნდაც მხოლოდ სამიოდე კვირეულის განმავლობაში, რაკი მეტხანს ამის საშუალება არ არის...

<u>აბესალომი:</u> სამი ფერი სიმბოლურ ფერად მეგულება.

შავი ფერი_მიწისა სიმბოლო.

წითელი ფერი_სისხლის სიმბოლო.

და ფერი, ყველა სხვა ფერზე უმშვენიერესი_ცისფერი!

და მე, როს ოცნებებით, ეფემერებით დასახლებულ და ილუზიებით აღსავსე ირაციონალურ სამყაროში გადავეშვები, ჩემს თვალთ ცისფერი ბინდი ეფინება. და იმ სიზმრისა Jამს ყოველივე მშვენიერი, ლამაზი და წარმტაცია... თუმც იმგვარი სიზმარი ხანმოკლეა. ყოველდღიურობისა სუსხი შემეხება, და თვალებს ბინდი შორდება, სიზმარი მთავრდება, და თვალწინ ისევ შავი და წითელი ფერებით რეალური მსოფლიოა...

<u>მასხარა:</u> საბურთალოს სასაფლაოს მთავარი შესასვლელის ფართოდ გახსნილი კარიბჭე, ხოლო მის ზღურბლს იქით სასაფლაოს მთავარი გზა_სასაფლაოს სიღრმეში მიმავალი.

და ახლა მეც ამ ზღურბლს გადავაბიჯე და ამ გზას გავუყევი.

და ამ გზაზე, ჩემგან ხელმარჯვნივ, ერთგან, თავის დროზე ახალგათხრილ საფლავებთან დარგული და ახლა ტანაშოლტილი ხეები, და ამ ხეებს დაუფარავთ_დაუმალავთ სამლოცველოსი ნაშთი: ქვისა ფუძე_იატაკი და ორი თუ სამი საკმაოდ მაღალი ინკრუსტირებული სვეტი, და სვეტებს შორის ნიში...

ხოლო საბურთალოს სასაფლაოს მთავარ შესასვლელთან თურმე გამოჩნდნენ: მურვანი თანმხლებითურთ, და ჟონდო დავითის ძე.

და ისინი_ერთხანს იქ შეყოვნდნენ რა_სასაფლაოს მთავარ გზას აგრეთვე გამოჰყვნენ...

<u>მურვანი:</u> ეჰ, აქ, ამ სასაფლაოზე, თავი_ხომ ხედავთ_როგორი ჟურის ხალხს მოუყრია.

ხალხი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არა აქვს, და რომელთა თავშესაფარია საეჭვო ბუნაგები, სარდაფები, ქუჩები... და ეს ხალხი პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, სასარგებლო შრომით საქმიანობას თავს არიდებს, და მათ ურჩევნიათ თავი მათხოვრობით ირჩინონ. მათი უმეტესობა ადრე ნასამართლევია ცხოვრების ამგვარი წესისთვის, თუ ამას წესი შეიძლება ვუწოდოთ; მაგრამ... ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს. არა უშავს, ამჟერად, უფრო მკაცრად დაისჯებიან.

და ამგვარ ხალხთან აბესალომმა საერთო ენა გამონახა. მას ამისთვის ზრდიდნენ და მასზე ამიტომ ზრუნავდნენ, რომ ბოლოს სასაფლაოზე მათხოვარ_მაწანწალებთან ერთად ეხილათ!

ეჰ, ახლა ვნანობ, რომ ჩვენი მამა, დავით იესეს ძე, აქ არ მოვიწვიეთ, უშუალოდ ნახავდა, თუ მათი ერთ_ერთი შვილი, აბესალომი, რა ხალხში გარეულა, რა წრეში ტრიალებს.

ხოლო აბესალომი დღე_დღეზე ერთი ოჟახის კარს შეაღებს!!... ყოველ

შემთხვევაში იგი ასე აპირებს, რათა თვისი ბედ_იღბალი და იმ ოჟახის ასულის ეთერის ბედ_იღბალი სამუდამოდ ურთიერთდააკავშიროს.

ჰოდა, ეთერის მშობლებს, თუმც ისინი აქ არ მოვიწვიეთ, დღეს_ხვალ მევე შევატყობინებ, თუ მათი სასიძო აბესალომი, რა ხალხში გარეულა, რა წრეში ტრიალებს.

ხოლო თქვენ, ჟონდო დავითის ძევ, აქ სწორედ იმისთვის მოგიწვიეთ, რათა უშუალოდ ნახოთ, თუ თქვენი უმცროსი ამხანაგი აბესალომი, რა ხალხში გარეულა, რა წრეში ტრიალებს.

<u>მასხარა:</u> და ჟონდო დავითის ძემ ამ სიტყვების პასუხად მურვანი ძლიერი დარტყმით ძირს დასცა, და მურვანი რის ვაი_ვაგლახით ფეხზე წამოდგა...

<u>მურვანი:</u> ჟონდო და აბესალომი დააპატიმრეთ, მათხოვარ_მაწანწალებიც დააკავეთ... განკარგულება ხომ გასაგებია?!

<u>I თანმხლები პირი:</u> დიახ, ბატონო!

<u>II თანმხლები პირი:</u> დიახ, ბატონო!

<u>III თანმხლები პირი:</u> დიახ, ბატონო!...

<u>ბ ნი მთხრობელი:</u> ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჟვენა მხარე, სამეფო_უბანი.

დაკლაკნილ_გადახლართული ვიწრო ქუჩები და მოედნები, სადაც ვიწრო ქუჩები სათავეს იღებენ თუ პირიქით თავს იყრიან, და გზა_ვიწრო ქუჩების ერთი წყება, მტკვრისა დინების მიმართულებით, მტკვრისა დინების დაღმა, მტკვრისა მარჟვენა სანაპიროსკენ_ყოვლად_წმიდისა მარიამის სახელობისა საკათედრო ტაძართან მიმავალი გზა, და იმ გზაზე_შუა გზაზე_მოედანი, სამეფო_უბნისა სხვა მოედნების მსგავსად არა ერთხელ და არა ორჟერ სახეცვლილი და სახელცვლილი მოედანი, ერთ დროს ვჰგონებ სულაც სამეფო_მოედნად სახელწოდებული.

ხოლო იმ მოედანთან აღმოსავლეთით, მტკვრისა მარჟვენა სანაპიროსა და იმ მოედანს შორის, სასახლეების კომპლექსი_სხვადასხვა დროს ნაგები და არა ერთგზის და ორგზის გადასხვაფერებული სასახლეების კომპლექსი.

და იმ სასახლეების კომპლექსში ივერიის მთავარ_ქალაქის პოლიციის სამმართველო დროებით განათავსეს.

ქ_ნი მთხრობელი: და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისსა შინა, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, საბურთალოს სასაფლაოდან... სამეფო_უბანში, ივერიის მთავარ_ქალაქის პოლიციის სამმართველოში, იოანე_ლაზარე ზებედეს ძე და მათხოვარ_მაწანწალები მიუყვანიათ.

და უფრო ზუსტად_იოანე_ლაზარე ზებედეს ძე და თორმეტი მათხოვარ_მაწანწალა მიუყვანიათ.

და ივერიის მთავარ_ქალაქის პოლიციის სამმართველოში, ივერიის მთავარ_ქალაქის სასამართლოს მორიგე_ადმინისტრაციულ_მოსამართლეს, სასაფლაოდან მიყვანილთათვის, უკლებლად ყველასთვის_იოანე_ლაზარე ზებედეს ძისათვის და თორმეტი მათხოვარ_მაწანწალისათვის_მიუსჯია ათ_ათი დღე_ღამით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მოხდით იქვე, ივერიის მთავარ_ქალაქის პოლიციის სამმართველოს დილეგში.

ბ_ნი მთხრობელი: ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, სამეფო_უბნისა სამხრეთ_აღმოსავლეთით, მტკვრისა დინების დაღმა, ერთურთის მიყოლებით ხომ ძველი დასახლებებია.

სამეფო_უბნისა მომიჟნავე აბანოების_უბანი.

და სეიდაბადი ანუ ხარფუხი.

და კრწანისი.

და ორთაჭალა.

ხოლო ქალაქის ტფილისის სამხრეთ_აღმოსავლეთ განაპირას სოღანლუღი ანუ ფონიჭალა.

მასხარა: და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ორთაჭალაში, ივერიის მთავარ_ქალაქის #1 ციხეა_ეგრეთ წოდებული გენერალ_საგუბერნატორო ციხე... და გარშემო: გალავნები, კოშკურები, საგუშაგოები, სათვალთვალოები, რკინის ალაყაფები, უამრავი მავთულხლართი, ურდულები, კლიტე_ბოქლომები... და ციხის ეგრეთ წოდებული ფასადი_გალავნიანი მიწისზედა ოთხი სართული ანუ_ციხის ადმინისტრაციის ტერმინოლოგიით, და პატიმრების Jარგონითაც_ოთხი კორპუსი, და თუ ადრე ბოლოსწინა_მესამე და ბოლო_მეოთხე სართულების ანუ კორპუსების საკნების ჩაგისოსებული ფანჯრებიდან პატიმრებისთვის ქუჩა მაინც მოჩანდა, ის ფანჯრებიც აგურებით ამოუშენებიათ... ხოლო ახლო_მახლო: ეგრეთ წოდებული დახურული_ციხე ანუ საპყრობილე; და

ციხე_საავადმყოფო.

და იქ, იმ ჩაJამებულ, დანოტიოებულ, შმორის სუნმოდებულ არემარეში, თითქოს ყველა და ყოველივე სევდიანია, მწუხარეა, სიავისა და მრისხანების გაუკუღმართებული, გაძაღლებული, ცოცხალმკვდარი სამყოფელი.

ქ_ნი მთხრობელი: და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისსა შინა, მტკვრისა მარჟვენა მხარეს, საბურთალოს სასაფლაოდან... ორთაჭალაში, ივერიის მთავარ_ქალაქის #1 ციხეში_ეგრეთ წოდებულ გენერალ_საგუბერნატორო ციხეში, ჟონდო დავითის ძე და აბესალომი მიუყვანიათ.

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა_აღმოსავლური კალენდრით გველის წლისა_ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული_ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოში_ძველი სტილით 28 მარტს ანუ ახლებური სტილით 10 აპრილს, და რაღა თქმა უნდა კვირა_დღეს, და იმ წლისა ბრწყინვალე კვირა_დღეს აღინიშნა.

მასხარა: ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით გველის წელი.

და ასტრონომიული ნიშნებით ისევ ვერძის ზოდიაქო.

ბ_ნი მთხრობელი: ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა: ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაულის შემდგომი კვირეული, ბრწყინვალე კვირეული, ძველი სტილით 30 მარტი ანუ ახლებური სტილით 12 აპრილი, სამშაბათი, და იმ წლისა ბრწყინვალე სამშაბათი.

ქ_ნი მთხრობელი: და იმ დღეს მურვანი მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს ვიცე_გუბერნატორად დააწინაურეს.

ბ_ნი მთხრობელი: ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, მტკვრისა მარცხენა მხარეს.

აბანოების_უბნისა და სამეფო_უბნისა გაღმა, და_მტკვრისა ქალაქ ტფილისსა შინა ყველაზე ვიწრო ადგილზე გადებული_მეტეხის ხიდის გაღმა, მეტეხის_უბანი: და მეტეხის ხიდისთავს, კლდესა ზედა_ნარიყალის მთისა გასწვრივ_ხოლო

ყოვლად_წმიდისა მარიამის სახელობისა საკათედრო ტაძრისა პირისპირ_ყოვლად_წმიდისა მარიამის სახელობისა ეკლესია, და მეტეხის პლატო, და მეტეხის აღმართი, და მეტეხის ქუჩა.

და ავლაბრისა მოედანი...

<u>მასხარა:</u> აღმოსავლური კალენდრით გველის წელი, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქო, ახლებური სტილით 8 ივნისი, ოთხშაბათი.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> და იმ დღეს, დილითვე, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისსა შინა, მტკვრისა მარჯვენა მხრიდან, ორთაჭალიდან, ივერიის მთავარ_ქალაქის #1 ციხიდან_ეგრეთ წოდებული გენერალ_საგუბერნატორო ციხიდან... მტკვრისა მარცხენა მხარეს, ავლაბრისა მოედანი #1, ივერიის მთავარ_ქალაქის სასამართლოში, ჟონდო დავითის ძე და აბესალომი მიუყვანიათ.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ივერიის მთავარ_ქალაქის სასამართლოს განაჩენიდან ამონაწერი.

ბრალდებულის სახელი ჟონდო, მამის სახელი დავითი.

დაბადების დრო.

აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელი, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქო.

ხოლო აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ბრალდებულს ორმოცდაშვიდი წელი შეუსრულდა.

საცხოვრებელი ადგილი.

ივერიის მთავარ_ქალაქი, მტკვრისა მარცხენა მხარე, მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობის პროსპექტი #43 / გაბრიელ მკრტიჩის ძე სუნდუკიანის სახელობის ქუჩა #2, და ბრალდებულს იმ სახლის მეორე სართულზე_საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტის თავზე_ერთ_ერთი ბინა უკავია.

სოციალური მდგომარეობა.

კერძო მესაკუთრე, წისქვილის პატრონი.

ოჯახური მდგომარეობა.

ბრალდებულის მეუღლე ნინო მიტროფანეს ასული გახლავთ.

ივერიის მთავარ_ქალაქის სასამართლომ გულდასმით განიხილა საქმე და დაადგინა, რომ ბრალდებული ჟონდო, ეწეოდა აგიტაციას და პროპაგანდას მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური ხელისუფლების ძირის გამოთხრის, შესუსტების მიზნით. ამავე მიზნით ეწეოდა ცილისწამებას, ესე იგი შეგნებულად სისტემატურად ავრცელებდა ცრუ მონაჭორს, რომელიც მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალურ ხელისუფლებას სახელს უტეხს. ახალგაზრდებთან შენიღბულად მოქმედებდა, თავს მათ მეგობრად ასაღებდა, ხოლო სინამდვილეში ახალგაზრდების ინტერესების საზიანოდ მავნედ ზემოქმედებდა მათზე. მფარველობდა და მალავდა სახელმწიფო დამნაშავეებს. ბრალდებული ეჭვმიტანილია ორგანიზაციულ საქმიანობაშიც: იგი აპირებდა ანტისახელმწიფოებრივი დაჟგუფების შექმნას, რომლის საქმიანობა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის მოსამზადებლად ან ჩასადენად გამიზნული იქნებოდა.

სასამართლო ასკვნის, რომ ზემოჩამოთვლილ დანაშაულთა ჩამდენ პირს_ბრალდებულ ჟონდოს_შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედებისა თუ უმოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, შესწევდა უნარი გაეთვალისწინებინა მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგები, მაგრამ მავნებლურ საქმიანობას მაინც არ სწყვეტდა.

ამიტომ სასამართლო თვლის, რომ ბრალდებული მკაცრად უნდა დაისაჟოს, რადგან გამჭრიახი თვალი და ფხიზელი გონება წინასწარ ჭვრეტს იმ დანაშაულებათა ჟაჭვს, რომელთა ჩადენის პოტენციური უნარი მას შესწევს, თუ არ მოხდება მისი დროზე იზოლირება.

ეს დანაშაულობანია: ყალბი დოკუმენტების, ბეჭდების, შტამპების, ბლანკების დამზადება, შეძენა და გამოყენება; სავალუტო ფასეულობებით სპეკულაცია; ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება და გასაღება; მიმოსვლის გზების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კავშირგაბმულობის ხაზების დაზიანება; საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა; სახელმწიფო საზღვრის დარღვევა; მასობრივ არეულობათა ორგანიზება; კონტრაბანდიზმი; ბანდიტიზმი; დანაშაული მოსაზღვრე სახელმწიფოთა მიმართ; დივერსია; ტერორისტული აქტი; ჟაშუშობა; სამშობლოს ღალატი.

სასამართლო_ითვალისწინებს რა ყოველივე ზემოთქმულს_ადგენს: საშიში დამნაშავე ჟონდო იზოლირებულ იქნეს და მიესაჟოს ხანგრძლივვადიანი თავისუფლების აღკვეთა სასჟელის მოხდით მკაცრი კლიმატური პირობების მქონე ადგილებში.

ამასთანავე სასამართლომ_იხელმძღვანელა რა ჰუმანური პრინციპებით_გადაწყვიტა, რომ მსჟავრდადებულის კერძო საკუთრება_უძრავი და მოძრავი ქონება_კონფისკებული არ იქნეს. და ამდენად მსჟავრდადებულის მეუღლე წინანდებურად იცხოვრებს ზემოხსენებულ საცხოვრებელ ადგილას_ივერიის მთავარ_ქალაქი, მტკვრისა მარცხენა მხარე, მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობის პროსპექტი #43 / გაბრიელ მკრტიჩის ძე სუნდუკიანის სახელობის ქუჩა

#2, და მსჟავრდადებულს ხომ იმ სახლის მეორე სართულზე_საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტის თავზე_ერთ_ერთი ბინა უკავია. და მსჟავრდადებულის მიერ სასჟელის მოხდის განმავლობაში ზემოხსენებული საცხოვრებლის მეურვე მსჟავრდადებულის მეუღლე გახლავთ, გაყიდვის ან გაჩუქების უფლების გარეშე, თუმცა გაქირავების ან იჟარით გაცემის უფლებით. მსჟავრდადებულის მიერ სასჟელის მოხდის განმავლობაში, მსჟავრდადებულის კუთვნილი წისქვილის_რომელიც მტკვრისა მარცხენა ნაპირთან, მსჟავრდადებულის საცხოვრებლის მახლობლადვე მდებარეობს_მეურვე აგრეთვე მსჟავრდადებულის მეუღლე გახლავთ, გაყიდვის ან გაჩუქების უფლების გარეშე, თუმცა გაქირავების ან იჟარით გაცემის უფლებით.

რაც შეეხება ჟონდოს უმცროს ამხანაგს, აბესალომს. იგი დაიბადა აღმოსავლური კალენდრით მფრინავი_დრაკონის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ივერიის მთავარ_ქალაქში. ხოლო აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, მას ოცდახუთი წელი შეუსრულდება. და მას პირადად რაიმე ანტისახელმწიფოებრივი ქმედება არ ჩაუდენია. მისი დანაშაული ისაა, რომ მან ნებაყოფლობით დაამყარა კონტაქტი დეკლასირებულ ელემენტებთან. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ჟონდოს მავნე გავლენამ იგი მიიყვანა შეურაცხად მდგომარეობამდე ანუ მას სულიერი მდგომარეობის მოშლის გამო არ შეეძლო საკუთარი მოქმედებისათვის ეხელმძღვანელა. ამიტომ სასამართლო თვლის, რომ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, კერძოდ, უნდა მოათავსონ ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში. საზოგადოების უშიშროება მოითხოვს მის იზოლაციას, რათა მას მოესპოს შესაძლებლობა ჩაიდინოს საზოგადოებრივად საშიში მოქმედება. მისი ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში ყოფნა შეწყდება, თუ ფსიქიატრიული_საავადმყოფოდანვე წარმოგზავნილი შესაფერისი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით დადგინდება, რომ იგი საზოგადოებისათვის საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

ივერიის მთავარ_ქალაქის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

<u>აბესალომი:</u> და მაშინვე, ივერიის მთავარ_ქალაქის სასამართლოდან, მტკვრისა მარცხენა მხარესვე, რკინიგზის სადგურზე_,,სორტიროვოჩნაია˜, ჟონდო დავითის ძე წაიყვანეს. იქაურ დილეგში ამყოფებენ, ვიდრე სპეციალური მატარებელი_ეგრეთ წოდებული ეტაპი_იმ შორეულ, ცივ და უკუღმართ გზას არ გაუყვება, პატიმრებით დატვირთული, რომელთაც ერთი უმკაცრესი სასჟელი_თავისუფლების აღკვეთა არ აკმარეს და მეორეც დაურთეს_სამშობლოდან გადასახლება...

ჩემი რიგიც დადგა, თუმცა ჟონდო დავითის ძისა სავალთან ჩემი გზა რა სახსენებელია... სასამართლოზე დამსწრე ჩემი ნათესავები და მეგობრები კარგა ხნით შემომეხვიენ... მერე ბადრაგის თანხლებით გისოსებიან მანქანაში ჩამსვეს და... ჰერი, ჰერი!...

<u>აბესალომი:</u> ფსიქიატრიული_საავადმყოფო, მსგავსად ციხის ან ყაზარმის, მისი ბინადრების, ამ შემთხვევაში პაციენტებად სახელდებულების, იძულებითი თავშეყრის ადგილია... საავადმყოფოში უამრავი `განსაკურნავი~ დამხვდა, მკვეთრად გამორჩეული ინდივიდებიც იყვნენ... თითოეულ იქაურ ბინადარს მეტ_ნაკლები პირადი ენერგია გააჩნდა. იმ ენერგიების ჟამი მთლიანობაში იძლეოდა ენერგიას_პოტენციურად აფეთქებადს და ანგარიშგასაწევს, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ არ იყო ერთსულოვნება და საყოველთაო ლტოლვა ერთი საერთო დიადი მიზნისაკენ_განთავისუფლებისაკენ. ის დაქსაქსული ენერგიები ურთიერთშუღლსა და `პაციენტების~ შიდა იერარქიაში უმჟობესი და შესატყვისი ადგილების დამკვიდრებაზე იხარჟებოდა. იქაც მბრძანებელი მექანიზმის დამთრგუნველი ხელი ფათურობდა უხილავად, პრინციპით: `გათიშე და იბატონე~. ურთიერთჭიდილის გარდა, დროდადრო, ესა თუ ის `პაციენტი~ ამა თუ იმ სანიტრის წინააღმდეგ იფეთქებდა... რაც შეეხება მკურნალობას, იქ, სადაც ოფიციალური იდეოლოგია ხელაღებით უარყოფს არამცთუ სულის უკვდავებას, არამედ სულის არსებობასაც, როგორც ხორციელი ადამიანის მოკვდავ სხეულში მოთავსებული რეალობისა, იქ, სულისა თუ სულიერ დაავადებათა, ასე ვთქვათ მკურნალობის მცდელობა_ფიქცია და აბსურდია... ხოლო მკურნალობის იმგვარი საშუალებები, როგორიცაა ლოცვა, მარხვა და ამ გზით ეშმაკეულის განდევნა, იქ უგულებელყოფილ იყო და აღარც არავის ახსოვდა.

და ყველა იქ მყოფს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშან_თვისება თუ გააჩნდა, მათ იცოდნენ, ზოგმა არაცნობიერად და ზოგმაც გათვითცნობიერებულად, რომ სულიერად ავადმყოფობა ანუ `სიგიჟე~, მეტ_ნაკლებად რეალური თუ სიმულირებული, ყველა შემთხვევაში ერთგვარი თვითამნისტიაა და საშუალებაა ჭარბი ეგოცენტრიზმის უნარისდაგვარად მეტად გამომJღავნება_გამოვლენისა... მაგრამ ამ ხერხით `განთავისუფლებულთ~ სანაცვლოდ თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდათ. არადა ღირს ამგვარად `განთავისუფლება~ß... თვისი პიროვნული მეტ_ნაკლები ენერგია იმისთვის ხარჟო, რომ თავისუფლების აღკვეთის ფასად და იძულებითი თავშეყრის ალაგას_თუგინდ სამკურნალოდ სახელწოდებულში_უვადოდ გამომწყვდევის ფასად, ამგვარი `თავისუფლება~ მოიპოვო ß!... და ვამბობ, ვითარც თვითმხილველი, არ ღირს და არამცთუ არ ღირს, არამედ ეს დანაშაულიცაა საკუთარი პიროვნების წინაშე, მსგავსი თვითგვემისა.

ეს საყვედური არ ეხებათ.

ვინც მოახერხეს და იქ აღმოჩნდნენ, რათა ციხის, კატორღის ან ფრონტისთვის თავი დაეღწიათ.

მართლაც დავრდომილებს, უმწეოებს და გონებაჩლუნგებს, არადა გაუგებარიცაა თუ იქ მათ რად ამწყვდევენ.

და ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ დამნაშავეებს, რომლებსაც აქაოდა პოლიტიკური პატიმრები არ გვყავსო, ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში თავს უკრავენ, თითქოსდა_სამკურნალოდ და სინამდვილეში `დასამუშავებლად~ და

დასაინვალიდებლად. ამგვარ აქციებში საექიმო პერსონალი არ მონაწილეობს, მაგრამ იქ ერთი_ორი თეთრხალათგადაცმული ჟალათი ჰყავთ, რომელთა დანიშვნა_დათხოვნა იქაურ სამკურნალო ადმინისტრაციას არ ეკითხება.

ხოლო მე თავიდანვე მომეჩვენა, რომ ფსიქიატრიული_საავადმყოფოდან_ციხისგან განსხვავებით_გაპარვა შეიძლება და ეს არც ისე რთულია, თუმცა თავდაპირველად ამან გამაკვირვა და კიდეც შემაფერხა: თუ გაპარვა ისე იოლად შეიძლება_მე, რომ მეჩვენება_იქ მყოფნი ამას ჩემამდეც მიხვდებოდნენ... არა, ეგებ, სხვა რამ სირთულეებია, რომლებსაც მე ვერ მივმხვდარვარ...

აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ახლებური სტილით 8 ივნისს, ოთხშაბათს, ნაშუადღევს, ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში ჩემი მიყვანისას, იქ სამუშაო დღე მთავრდებოდა, და ამიტომაც იმ დღეს იქაურ ექიმებს ჩემთვის ყურადღება არ მიუქცევიათ... ადმინისტრაციული ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე, სადეზინფექციო პალატაში ჩამკეტეს, თუმც იქიდანაც ჩანს ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ვრცელი ეზო და მოსეირნე ავადმყოფები. ჰოდა, პირველად მაშინ გამიჩნდა ვარაუდი, რომ ფსიქიატრიული_საავადმყოფოდან გაპარვა შეიძლება.

მეორე დღეს, ხუთშაბათს, ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ბიუროკრატიული კანცელარიის ხელთ აღმოვჩნდი, მერე ჩემმა მკურნალმა ექიმმა ჩემს საბუთებს გადახედა, სანიტრები მოიხმო, და ბრძანა ჩემი სამკურნალო კორპუსში გადაყვანა.

სამკურნალო სამსართულიან კორპუსში ორი საპარადო შესასვლელია, ურთიერთსაპირისპირო მხრიდან, ერთი_მამაკაცების განყოფილებაში, მეორე_ქალების განყოფილებაში. და სამივე სართულზე, გრძივ დერეფნებში, ერთსა და იმავე ადგილას ბეტონის ყრუ, მართლაცდა შეუვალი კედლები ჩაშენებულია, მამაკაცების და ქალების განყოფილებების განსაცალკევებლად. მამაკაცების განყოფილების შიდა კიბე პირველ და მეორე სართულებს შორის სამიმოსვლოდ ღიაა, მაგრამ ბოლო_მესამე სართული საგულდაგულოდ ჩარაზულია. პირველი და მეორე სართულების ორმხრივ ჩამწკრივებულ ერთნაირ პალატებში მოუთავსებიათ ეგრეთ წოდებული ჩვეულებრივი ანუ არა_მძვინვარე პაციენტები. ხოლო ბოლო_მესამე სართულის პალატებში გამოუკეტავთ `მძვინვარე პაციენტები~.

მეორე სართულის ერთ_ერთ პალატაში მომათავსეს. პალატის ორივე გრძივი კედლის გასწვრივ ხუთ_ხუთი რკინის საწოლი იდგა, თავ_ფეხით ურთიერთს მიდგმული. საწოლთა მწკრივებს შორის გასასვლელი ორი მეტრი სიგანისა იყო. შვიდი პაციენტი დამიხვდა, მერვე აღმოვჩნდი და სამი თავისუფალი საწოლიდან ერთ_ერთი ამოვირჩიე. `თეთრეული~ დამიგეს, ტანსაცმელი ჩამომართვეს და იქაური აბდაუბდა პიჯამა მომცეს...

ახლა მე ყოველგვარი მეოცნეობისაგან შორს ვიდექი, ერთი მიზანი მქონდა_განთავისუფლება და არცთუ ილუზიურად მეგულებოდა მიზნის მიღწევა.

პალატის ბინადრებთან მეტ_ნაკლები კონტაქტი დავამყარე, რათა განდგომილად ან ამპარტავანად არ მივეჩნიეთ, ანდა ეჭვი ან ვარაუდი არ აეღოთ ჩემს საიდუმლო მიზანზე.

მესამე დღეს, პარასკევს, ჩემი ექიმი მომესალმა და მითხრა, ხვალ_ზეგ უქმეა და ბარემ ორშაბათიდან მოგხედავო.

მეექვსე დღეს, ორშაბათს, ჩემმა ექიმმა ჩემი `საქმე~ წაიკითხა, ამხედ_დამხედა, საგულდაგულოდ ამათვალიერ_ჩამათვალიერა, მკურნალობის კურსი დამინიშნა, უფროს_ექთანს ჩააწერინა და უთხრა, ხვალიდან დანიშნულებათა მიცემას დაიწყებო.

ასე რომ, ოთხშაბათს ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში მიყვანილის `მკურნალობას~ იქ მიყვანიდან მხოლოდ მეშვიდე დღეს, სამშაბათს შეუდგნენ. ამ გარემოებაზე ყურადღებას დაწვრილებით რატომ ვამახვილებ, გეტყვით. იმ დღეებში ვაკვირდებოდი ჩემი პალატის და საერთოდ მამაკაცების განყოფილების პირველი და მეორე სართულების ასეულობით ჩვეულებრივ ანუ არა_მძვინვარე პაციენტს და აშკარად ვხედავდი, რომ მათ დანიშნული `წამლების~ მიღების შემდეგ საგრძნობი ატროფია და დაუძლურება ეუფლებოდათ. ეს საყოველთაო დასაძაბუნებელი პროცედურა ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში დღე_ღამეში სამჯერ_რვა საათის შუალედით_ტარდებოდა. სამაგიეროდ ყოველ საღამოს ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ვრცელ ეზოში უკლებლად ყველა ჩვეულებრივ ანუ არა_მძვინვარე პაციენტს სასეირნოდ გულარხეინად უშვებდნენ; მეთვალყურე სანიტარი ამორჩეული ხის ძირში სანახევროდ წამოწვებოდა და პაციენტების თვალთვალით თავს დიდად არც იწუხებდა. დანიშნულ დროს ზარს ააJღარუნებდა და ისინიც, ერთნაირ პიJამებში გამოწყობილნი, მორჩილად იკრიბებოდნენ სანიტრის გარშემო, რომელიც მათ არც ითვლიდა და სამკურნალო კორპუსში ისე მიერეკებოდა...

მთავარია, როგორმე ავიცილო დანიშნული მედიკამენტები! ჩემი ეს აღმოჩენაც არ მეჩვენა გამორჩეული გონებაგამჭრიახობის ნიმუშად, ნუთუ ამას ჩემს გარდა ვერავინ მიხვდა?!... ფსიქიატრიული_საავადმყოფოს მამაკაცების განყოფილების პირველი და მეორე სართულების ასეულობით პაციენტში ამავე აზრისა ალბათ სხვებიც არიან, ოღონდ ხმამაღლა არ აცხადებენ. მეც არ ვაპირებდი `აღმოჩენის~ გამხელას. პალატის შვიდი თანამობინადრისგან ერთი მაინც ხომ ენის მიმტანი იქნება. ჩანაფიქრს თუ განვაცხადებ და სხვებსაც მოვუწოდებ, მედიკამენტებს ერიდეთ_მეთქი, ადმინისტრაცია მამაკაცების განყოფილების ბოლო_მესამე სართულზე `მძვინვარე პაციენტებთან~ ალბათ მეც გამომკეტავს... თუმცა ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში მიყვანისთანავე ან მეორე დილიდან, რომ ჩემთვისაც მედიკამენტების მოცემა დაეწყოთ, ალბათ მეც ვერ მოვასწრებდი მათი მავნებლობის გათვითცნობიერებას... კიდევ კარგი ნემსები არ დამინიშნეს, მათი აცილება თითქმის შეუძლებელია, აბები კი...

უფროსი_ექთნის მიერ დღე_ღამეში სამჯერ მოცემულ აბების გროვას ხელისგულზე უდრტვინველად ვიყრიდი და ხახისაკენ გავაქანებდი, წყალს დავაყოლებდი, ყელით ყლაპვის მსგავს მოძრაობას გავაკეთებდი და სახესაც დავჟღანავდი, ვითომდა აბების უსიამოვნო გემოთი შეწუხებული... ხოლო პირში

დაგუბებული, ენის ქვეშ ან ლოყის ძირს მიმალული აბების მალულად გადმოგდებას არც ვჩქარობდი...

<u>აბესალომი:</u> და აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოშივე, და ერთ დღესაც, და თუმცა მშობლიურ ქალაქში, არადა, იქ, ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში, ოცდახუთი წელი შემისრულდა.

დღე და ღამე იყრება, ღამდება, დაღამდა, ფსიქიატრიული_საავადმყოფო, სამკურნალო სამსართულიანი კორპუსი, მამაკაცების განყოფილება, მეორე სართული, ჩემთვის მოჩენილი პალატა, ჩემს რკინის საწოლზე მევე გავრთხმულვარ... და ბურანში მყოფს, ძილმღვიძარეს, პალატის შვიდივე თანამობინადრისა ლაპარაკი აბდაუბდად, ბუნდოვნად მომესმის, თანდათანობით ხმები თითქოსდა მიწყდა, გარშემო მყოფნიც დამშორდნენ, სადღაც, ჩემგან შორს, სიღრმეში გადაადგილდნენ... და გრანიტის ქვისაგან ნაგები თაღი თითქოს თავს დამადგა... სხეულის შეგრძნება სრულიად მომესპო და დარჩა `რაღაც~, არ ვიცი გონება თუ სხვა რამ, რომელიც ხედავდა, აღიქვამდა და იმახსოვრებდა. თაღმა ძალიან სწრაფად გვირაბის ფორმა მიიღო და ძირს დაიწია. ძრწოლამ შემიპყრო, ვაითუ გვირაბი სულაც დამემხოს და გამსრისოს, ანდა ორივე მხრიდან ამოიქოლოს და სამუდამოდ ამ მდგომარეობაში დარჩენა მომიწიოს... ალბათ, ეს არის_მეთქი ის, რასაც სამარეში წოლა ჰქვია. მენანებოდა, რომ სიცოცხლეს ასე უცბად და მოუმზადებლად ვეთხოვებოდი... მომინდა გამეგო, კუბოში ვიწექი თუ არა: კუბოს კედლები ვერ შევიგრძნე; თუმცა მათი არსებობა რა აუცილებელი იყო; გრანიტისგან ნაგები გვირაბის კედლები ასრულებდნენ კუბოს დანიშნულებას... სულისგამაწვრილებელ ძრწოლას ფიზიკური ტკივილის მსგავსი შეგრძნებაც დაემატა, იმგვარი, სულის ხორცთან განშორების Jამს, რომ ალბათ უნდა ჩნდებოდეს... ფიქრით საკუთარი `მე~_ს შემზადება დავიწყე, რომ ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა ჩემთვის უკვე გარდაუვალი და სამუდამოა და ამიტომ, ამ ვითარებაში ყველაზე უმჯობესი შეგუებაა_მეთქი...

ამ დროს ინათა! `აბსოლუტური ნათელი~ გვირაბში შემობრძანდა, გამეფდა და ჩემს თვალწინ ასეთი სურათი გადაიშალა: მწვანე მდელო, სწორად და კოხტად შეკრეჭილი დაბალი ბალახით, მრავალი ანკარა, ცისფერი ნაკადულით დასერილი, რომელთა ნაპირებთან ალაგ_ალაგ ლამაზი ხეები იდგა. ეს ზღაპრული ჭალა, თავისი სიმეტრიულობით, გეგმაზომიერებითა და სისადავით რაღაც დეკორატიულის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა... ჰაერი მეტისმეტად მკვრივი და ცისფერი იყო, მაგრამ ჰაერის სიმკვრივე, სულისთვის შემაწუხებელი და მძიმე როდი იყო, პირიქით, საამური, მეტად საამური... ჰაერის ნაკადები გამუდმებით მოძრაობდნენ, როგორც გვირაბის შიგნით, რომელიც იმ დროისთვის სიმაღლეში გაიზარდა და პერსპექტივაში გაიშალა, ისე გვირაბის გარეთაც, საითკენაც ეს ზღაპრული ჭალა ვრცელდებოდა და უსასრულობაში გადადიოდა... და ჰაერის მეტისმეტად მკვრივი და ცისფერი მოძრავი ნაკადები, ჩემმა `მე~_მ აღიქვა და გაიაზრა, როგორც მიცვალებლთა სულების კრებული...

სანეტარო ხილვამ რამდენ ხანს გასტანა ზუსტად არ ვიცი, ვინაიდან დროის შეგრძნება, სხეულის შეგრძნებისა არ იყოს, გამქრალი მქონდა. თუმც იმ სულიერი

ნეტარებით უკმარისობისა და მისი წამიერების განცდა არ გამომყოლია... მერე სანეტარო სურათი ჩემი თვალთახედვიდან გაქრა; იმ სურათს ჩემი `მე~ ალბათ მოაცილეს, მოსცილდა... გათენებულა, გარშემო მიმოვიხედე, ისევ იქაურობა, ჩემთვის მოჩენილი პალატა, ჩემს რკინის საწოლზე მევე გავრთხმულვარ... პალატის შვიდივე თანამობინადრისა ლაპარაკი მომესმის, თანდათანობით გონებაში აღვიდგინე, რომ დაღამებისას იქვე გონება დავკარგე, და იმ ღამით და გათენებისას სიცოცხლე_სიკვდილის მიჟნაზე ეტყობა მისული ვიყავ, თუმცა ცოცხალი დავრჩი...

<u>აბესალომი:</u> ყოველ საღამოს ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ვრცელ ეზოში სასეირნოდ გვიხმობდნენ, სეირნობა ერთსაათიანი იყო, არადა სასეირნოდ ზოგჯერ არც გავდიოდი, თითქოსდა დაღლილი და ძილმორეული, ხოლო უმეტესად ვსეირნობდი ისევე ზანტად, როგორც ყველა სხვა... თუმც ათიოდე წუთის სეირნობა, და მეთვალყურე სანიტრის მახლობლად ხის ძირში ჩამოვჟდებოდი, ვითომდა სიარულით მუხლმოღლილი... და ცოტა ხნის შემდეგ სანიტარს სულაც ნებართვას ვთხოვდი, პალატაში ადრე დაბრუნებაზე... არადა, ეზოში ყოფნისას, გონება და მზერა გაფაციცებით მუშაობდნენ, იქაურობას აკვირდებოდნენ... ვრცელი ეზო: ადმინისტრაციული კორპუსი, სამკურნალო კორპუსი, და ბევრიც დამხმარე ნაგებობა გაბნეულია, და ყველაფერი ხეებში ჩაფლულია, უამრავი ხე, მარადმწვანე ხეები, ხეხილის ხეები... ხოლო შორს მოჩანს ეზოს ოთხივე მხრიდან შემორტყმული არცთუ მაღალი, აგურის ღობე...

ფსიქიატრიული_საავადმყოფოს პაციენტების ახლობლებისგან ნახვა ნებადართული იყო, ამანათების შეუზღუდავად გადმოცემაც, თუგინდ ყოველდღიურად, არადა სამკურნალო კორპუსის პირველ სართულზე, მამაკაცების განყოფილების პირველი და მეორე სართულების პაციენტების საერთო უგემური სასადილო, დღეში მართალია სამჟერადი თუმცა მცირე ულუფით, პაციენტების გამოკვებას ვერც აუვიდოდა, და ნახევრადშიმშილით გაავებული პაციენტებისგან რთული პრობლემები წარმოექმნებოდათ. ფულის გადმოცემაც აკრძალული არ იყო. იმით იქვე ფარდულში ნამცხვარს, ტკბილეულს შეიძენდით, ან მომსახურე პერსონალს მახლობლად ცხელ შოთ პურზე გაგზავნიდით, მომტანისთვისაც სახეიროდ.

მეც მქონდა უფლება ამანათების მიღებისა, ოღონდ ვინაიდან ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში აღმოვჩნდი არა ჩვეულებრივი გზით არამედ სასამართლოს განაჩენით, მომკითხველებთან უშუალო პაემანი აღკვეთილი მქონდა. ჩემთვის განკუთვნილ ამანათს მიმღებში ერთ_ერთი სანიტარი იბარებდა, მეორე სართულზე პალატაში ამომიტანდა და ბარათი მიჰქონდა მომკითხველთან, დასტურით ამანათი გადმომცესო. პალატის ფანჯრიდან თუ ეზოში გადავიხედავდი, ჩემს მომკითხველებსაც დავენახვებოდი და ცოტას გავისაუბრებდით სიტყვით და Jესტიკულაციით, მაგრამ ამგვარი `პაემანი~ ჩემს თავს თვითონვე აღუკვეთე...

ხოლო საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით ყოველწლივ.

ძველი სტილით 1 აგვისტო, მარიამობის ორკვირიანი ანუ თოთხმეტდღიანი მარხვისა დასაწყისი.

ხოლო ძველი სტილით 6 აგვისტო, მარიამობის მარხვისა მე_6 დღე, და იესო ქრისტეს ფერისცვალებისა საეკლესიო დიდი დღესასწაული.

ჰოდა, აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ლომის ზოდიაქოში, ძველი სტილით სწორედ_რომ 6 აგვისტოს ანუ ახლებური სტილით 19 აგვისტოს, პარასკევს, ფსიქიატრიულ_საავადმყოფოში, მომკითხველებისგან და მნახველებისგან უამრავი ხილი მოგვივიდა... და ხილს შეექ-ცეოდით, და_რომ იტყვიან_ვერ ავუდიოდით. და პირველ სართულზე, საერთო სასადილოში ხილი შექონდათ, ჩაგვქონდა, არადა იქაური დიდი მაცივრის თაროებიც ამანათებს ვერ იტევდნენ, ჩემია_შენიას მუდმივსაკაცობრიო პრობლემა დროებით მოიხსნა, ხილის თავსაყრელმა რაოდენობამ უმტკივნეულოდ გამოიწვია მისი ასე ვთქვათ `განსაზოგადოება~... საერთო ხილთსაცავში თითოეულის შემოტანილი წილის მეტ_ნაკლებობასაც მნიშვნელობა აღარ ექცეოდა, მამაკაცების განყოფილების პირველი და მეორე სართულების მოუკითხავ_უამანათო ბინადრებსაც მაცივრის დახუნძლულ თაროებზე ხელის ფათურის უფლება თავისუფლად და დაუყვედრებლად მიეცა. და ეს ილუზიური იდილია და მამაკაცების განყოფილების პირველი და მეორე სართულების მოდარაჟე სანიტრების და უკლებლად ყველა იქაური პაციენტის დროებითი დაძმობილება_გათანასწორება განაპირობა იმდღევანდელმა თავსაყრელმა სიუხვემ.

და მაშ, გაუმარჯოს, საარაკო სიუხვეს!

ერთხანს ხილთაჭამა შეწყდა.

პალატებში შეგვაბრუნეს და თითოეულს დანიშნულებისამებრ `გვიმკურნალეს~. ჩემთვის განკუთვნილი აბები ჩვეულებისამებრ `მივიღე~.

სასეირნოდ გამოვედით.

მტკიცე გადაწყვეტილება მიღებული მქონდა. რამდენჯერმე იმავე ხეს შემოვუარე, რომლის ძირშიც მეთვალყურე სანიტარი წამოწოლილიყო, მოზრდილი ემალის ქვაბი ედგა ცივი ხილით სავსე და შეექცეოდა... სანიტარმა უკმაყოფილოდ ამომხედა, თითქოსდა მზერით მისაყვედურა, ადამიანი ვნაყრდები და თავს რად დამდგომიხარო. ჰოდა, გავეცალე... ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ვრცელი ეზოს მთავარი შესასვლელის საპირისპირო მხარეს გავეშურე, სამკურნალო კორპუსსაც ვშორდებოდი, ხეებში ვიკარგებოდი, ნაბიჯს ვუმატე, მაგრამ ვერ მივრბოდი, ვფრთხილობდი, თვალი არავინ მომკრას_მეთქი...

შებინდება დაიწყო. სეირნობისათვის განკუთვნილი ერთი საათი დამთავრდა. კორპუსში დარჩენილ_დამხვედრი მოდარაჟე სანიტრები და სეირნობიდან დაბრუნებულებიც_მეთვალყურე სანიტარი და პაციენტები_ისევ ხილს მიირთმევენ. ჩემს არყოფნას ვერც შეამჩნევენ, თუმცა თუ დავბრუნდი და კორპუსში შეშვება ვითხოვე, იმას ვერ წარმოიდგენენ, რომ გაპარვას ვაპირებდი, ოღონდ ეზოში ჩემი თვითნებური დარჩენისა და კორპუსში დაგვიანებით დაბრუნებისათვის შესაფერ

პატაკს დაწერენ, რა მიზეზითაც რეJიმს გამიმკაცრებენ, და შეიძლება ეზოში გასეირნება მართლაცდა სანატრელი გამიხდეს, იქნებ ნემსები სულაც დამინიშნონ, არადა ნემსებს_აბებისგან განსხვავებით_ვერ ავიშორებ... ამ ფიქრებში ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ვრცელი ეზოს გალავანს მივადექი, გადაღმა საცხოვრებელი კორპუსები მოჩანდა... აგურის გალავანი ორ_ნახევარი მეტრის სიმაღლის იყო, ჟანმრთელი და იქაურ `მკურნალობას~ თავარიდებული ახალგაზრდა კაცისთვის მასზე ასვლა და გადაძრომა სირთულეს არ წარმოადგენდა... გალავნიდან ჩამოვხტი და ფსიქიატრიული_საავადმყოფოს ეზოს გადაღმა ფეხი დავდგი. თავისუფლება!☺...

ახლა მთავარ უხერხულობად ჩემი ჩაცმულობა_საავადმყოფოს პიJამა_მივიჩნიე. იქიდან ფეხით თხუთმეტი_ოცი წუთის სავალზე შესაფერი მაღაზია მეგულებოდა. ჰოდა, ავტობუსის უახლოეს გაჩერებაზე ვინ იცის როდის მომსვლელ ავტობუსს აღარ დაველოდე, აღარ შევყოვნდი, და იმ მაღაზიისაკენ ფეხით გავსწიე... თუმცა მაღაზიასთან მისული, შევყოყმანდი, ვორჭოფობდი... არადა მაღაზია სადაცაა დაიკეტებოდა, ღელვა გარეგნულად დავიოკე, და მაღაზიაში შევედი, იაფფასიანი სპორტული რეიტუზი და ზედატანი შევირჩიე, ფარდის გაღმა დავდექი, და მოკაზმულობა შევიცვალე, სარკეში ჩავიხედე, იქვე ეგდო რომელიღაც გაზეთი, და გაზეთში საავადმყოფოს პიJამა საგულდაგულოდ გავახვიე, და ფარდის გაღმიდან გამოვედი, ახლა თხელი შარვალი და უბრალო პერანგი შევირჩიე, სიმპათიურ გამყიდველ გოგონას ცელოფანის ხელჩანთაში ჩავაწყობინე, ანგარიში გავუსწორე, და დავემშვიდობე.

მაღაზიიდან გამოსულმა მომავალი ავტობუსი დავინახე, და ამჟერად მასში ასვლა ვარჩიე... მტკვრისა მარცხენა მხარე, ვაგზლისა მოედანი, რკინიგზის ტფილისის სამგზავრო სადგურის ვაგზალი. ჰოდა, ავტობუსიდან ჩამოსულმა, ვაგზალს თავი შევაფარე... და იქაურ ტუალეტში შევედი და ტანსაცმელი ისევ გამოვიცვალე, შარვალ_პერანგი ჩავიცვი, ხოლო სპორტული ფორმა ცელოფანის ხელჩანთაში ჩავდე, მერე ვაგზლისა ვესტიბიულში გავედი და კედელზე დაკიდებული მატარებლების მოძრაობის განრიგი წავიკითხე.

ლიხს_დასავლეთში მიმავალი მატარებლების სვლაგეზი.

ტფილისი.

მცხეთა.

შიდა_ქართლი.

ლიხს_აღმოსავლეთის და ლიხს_დასავლეთის გამყოფი ლიხის ქედის ძირში სურამის უღელტეხილის მახლობლად გაჭრილი გვირაბი.

და აჰა, ლიხს_დასავლეთი: ზემო_იმერეთი; და ქვემო_იმერეთი...

რკინიგზის ტფილისის სამგზავრო სადგურის ვაგზლის ვესტიბიულშივე სალაროებთან გადავინაცვლე, და ერთ_ერთ სალაროსთან რიგში ჩავდექი, და ლიხს_დასავლეთში მიმავალ პირველივე მატარებელზე ბილეთი შევიძინე... საერთო

ვაგონში შევედი, და ერთბაშად მეორე თაროზე_კუთვნილ ადგილზე წამოვწექი... და აჰა, მატარებელიც დაიძრა, ძილი არ მეკარებოდა... ფანჯარა უხმაუროდ ჩამოვწიე, და გაზეთში შეხვეული საავადმყოფოს პიჯამა სიბნელეში მოვისროლე, `სახელმწიფო ქონება~_რომ იტყვიან_ქარს გავატანე...

<u>აბესალომი:</u> მომდევნო დღეს, დილითვე, და უფრო ზუსტად უთენია, ლიხს_დასავლეთში, ქვემო_იმერეთში, მდინარის რიონის პირას_რკინიგზის რიონის სადგურში მატარებელი შეჩერდა. და მატარებლიდან ჩამოვედი... და რიონის სადგურიდან ქვემო_იმერეთშივე, და უფრო ზუსტად ქვემო_იმერეთის შუაგულს, მდინარის რიონის პირას_ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში მიმავალ ეგრეთ წოდებულ საგარეუბნო მატარებელში გადავჯექი. და მალე ქუთაისში ჩავედი. და ქუთაისში ჩემს გზას გავუყევი... და მაუდის ფაბრიკასთან, სახლს #1001 ადვილად მივაგენი, ბინის კარზე დავაკაკუნე, მასპინძელმა გამიღო და მიცნო.

გამარჯობათ!Ó

<u>იოანე_ლაზარე ზებედეს ძე:</u> გამარჯობათ! შემობრძანდით!...

ეჰ, ჟონდო დავითის ძეს სასამართლო ულმობლად მოჰქცევია...

და თქვენც... თუმც ეტყობა თავი დააღწიეთ.

<u>აბესალომი:</u> დიახ, გუშინ, საღამოს, ფსიქიატრიული_საავადმყოფოდან გამოვიპარე, და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისიდან ლიხს_დასავლეთში მატარებლით გამოვემგზავრე.

თავის დროზე, ლიხს_დასავლეთში, ქვემო_იმერეთში, და უფრო ზუსტად ქვემო_იმერეთის შუაგულს, მდინარის რიონის პირას_ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში, ქრისტიან_მართლმადიდებელ საეკლესიო პირს, ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძეს და მის მეუღლეს, სოფიო ყარამანის ასულ შავდიას უცხოვრიათ. და მათ მოსწრებიათ ხუთი შვილი, ოთხი ასული და ერთი ძე: ოლიმპიადა ვასილის ასული, თამარ ვასილის ასული, ნიკოლოზ ვასილის ძე, ნინო ვასილის ასული და მარიამ ვასილის ასული დოლაბერიძეები.

და ოთხ დედმამიშვილს_ოლიმპიადა ვასილის ასულ, ნიკოლოზ ვასილის ძე, ნინო ვასილის ასულ და მარიამ ვასილის ასულ დოლაბერიძეებს_ახალგაზრდობაშივე, ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქი ქუთაისი დაუტოვებიათ, და ისინი ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში დასახლებულან... და ტფილისში უქორწინიათ: ვიქტორ ნიკოლოზის ძე კალანდარიშვილს და ოლიმპიადა ვასილის ასულ დოლაბერიძეს; ნიკოლოზ ვასილის ძე დოლაბერიძეს და ეკატერინე მიხეილის ასულ გაგუას; დიომიდე ჟაოსის ძე ღვინიანიძეს და ნინო ვასილის ასულ დოლაბერიძეს; სერგო კონსტანტინეს ძე ბაქრაძეს და მარიამ ვასილის ასულ დოლაბერიძეს.

და ოთხი დედმამიშვილი_ოლიმპიადა ვასილის ასული, ნიკოლოზ ვასილის ძე, ნინო ვასილის ასული და მარიამ ვასილის ასული დოლაბერიძეები_ახლა

ცოცხალია; და ისინი მეუღლეებითურთ ახლაც ტფილისში ცხოვრობენ; და მათ ტფილისში ჰყავთ: შვილები, რძლები, სიძეები, შვილიშვილები, და უკვე შვილიშვილების შვილებიც.

ხოლო თამარ ვასილის ასული დოლაბერიძე, ტფილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაუმთავრებია, და ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისში დაბრუნებულა. და თამარ ვასილის ასული დოლაბერიძე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტებს საქართველოს ისტორიულ_გეოგრაფიას ასწავლიდა.

ხოლო შვიდი წლის წინ, აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში, ამ სახლში, მეზობელ ბინაში, თამარ ვასილის ასული დოლაბერიძე გარდაცვლილა. და მაშინ ტფილისიდან ჩამოვიდნენ თამარ ვასილის ასულ დოლაბერიძის დედმამიშვილები და მათი მეუღლეები და მათი უკლებლად ყველა შვილი და მათი მეუღლეები და მათი შვილები_და მათ შორის მეც, მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, მეთვრამეტე წელში გადასული... ასე რომ, ამ სახლში, მეზობელ ბინაში, ნამყოფი ვარ.

ხოლო ამ სახლის ეზოში გაშლილი საქელეხო სუფრის იმ მაგიდასთან აღმოვჩნდი, რომელსაც თქვენ უძღვებოდით, როგორც საქელეხო სუფრის თამადის ერთ_ერთი მოადგილე. იქიდან დამამახსოვრდით...

ხოლო ტფილისში, საბურთალოს სასაფლაოზე, რომ გამომელაპარაკეთ_მიუხედავად განვლილი წლებისა, და მიუხედავად თქვენ მიერ თურმე გამიზნულად შეცვლილი იერისა_მეცნეთ, და გაგიხსენეთ...

თქვენ სასაფლაოზე ისიც მითხარით: `...თავის დროზე, ჩემს მშობლიურ ქალაქში, ქრისტიან_მართლმადიდებელი საეკლესიო პირი ცხოვრობდა. ქუთაისის ქრისტიანულ_მართლმადიდებლური სასულიერო სასწავლებლისა კურსდამთავრებული, და ტფილისის ქრისტიანულ_მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიისა კურსდამთავრებული... ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო სამღვდელო იერარქიით_დეკანოზი... ხოლო შემდგომ მათი უწმიდესობისა საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კათოლიკოს_პატრიარქის ,,უშუალო კეთილმიხედულეობით˜ იგი მიტრით დაუჟილდოებიათ. დიახ, იგი მიტრით დაჟილდოებული და თავშებურული დეკანოზი ანუ მიტროსანი დეკანოზი გახლდათ...˜

<u>იოანე_ლაზარე ზებედეს ძე:</u> თამარ ვასილის ასულ დოლაბერიძესთან, ამ სახლის მკვიდრთან და ბინადართან, ტკბილი მეზობლობა გვქონდა, მის თვალწინ გავიზარდე... თამარ ვასილის ასულმა დოლაბერიძემ, გარდაცვალებამდე ერთი_ორი წლით ადრე, თავისთან შემიპატიჟა და მანახა წიგნების კარადის უკან, კედელში მიმალული ნიშა, სადაც თურმე ინახავდა მათი მამის, განსვენებული მიტროსანი დეკანოზის ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძის ხელნაწერებს. მთხოვა, ჩემი გარდაცვალების მერე უპატრონეო...

თამარ ვასილის ასულ დოლაბერიძის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს

ტფილისიდან ხელახლა ჩამოვიდნენ მისი დედმამიშვილები და მათი მეუღლეები და მათი უკლებლად ყველა შვილი, და მათ პანაშვიდი და ქელეხი გადაიხადეს... ხოლო მე, ნიშიდან ხელნაწერები გამოვიტანე, რის შესახებაც მხოლოდ განსვენებული მიტროსანი დეკანოზის ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძის ერთადერთ ძეს_ნიკოლოზ ვასილის ძე დოლაბერიძეს_ვუთხარი.

<u>აბესალომი:</u> იოანე_ლაზარე ზებედეს ძემ მეორე ოთახში მიმიპატიჟა, საწერ მაგიდასთან დადგმულ ღრმა სავარძელზე ხელით მიმანიშნა, ჩაჟექითო, თვითონ მაგიდაზე ძველებური ყავისფერი გაცრეცილი პორტფელი დადო და რკინის საკეტი გაუხსნა...

<u>იოანე ლაზარე ზებედეს ძე:</u> განსვენებული მიტროსანი დეკანოზის ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძის ხელნაწერები, რომლებიც თავად ხუთ ტომად დაულაგებია.

I ტომი. სარწმუნოება, ფილოსოფია, მეცნიერება და მათი ურთიერთდამოკიდებულება_ისტორიული მიმოხილვა.

II ტომი. საუბრები `რელიგიის გასამართლების~ გამო.

III ტომი. სიტყვები და საუბრები საზოგადო მოვლენათა და მოღვაწეთა შესახებ.

IV ტომი. ცხოვრებიდან.

და V ტომი. მოძღვრებანი.

და ეს ხელნაწერი ხუთტომეული პირველადვე წავიკითხე თუ არა, საბეჭდი მანქანა ვიშოვე და ხელნაწერი ხუთტომეული სრულად გადავბეჭდე ერთ ეგზემპლარად. ხოლო ხელნაწერი ხუთტომეულის სრულად გადაბეჭდილი ერთადერთი ეგზემპლარიდან ორი ფოტო_პირი გადავიღე.

<u>აბესალომი:</u> და იოანე_ლაზარე ზებედეს ძემ ამჟერად მაგიდაზე ძველებური ყავისფერი გაცრეცილი პორტფელის ხელნაწერ ხუთტომეულთან_თვისი სიტყვების დასტურად_დადო: ერთი ლურჟ ყდიანი საქაღალდე; და ორიც რუხ ყდიანი ურთიერთის მსგავსი საქაღალდე.

<u>იოანე ლაზარე ზებედეს ძე:</u> და ადრე თუ გვიან.

ქუთაისის ისტორიულ_ეთნოგრაფიულ მუზეუმში ძველებურ ყავისფერ გაცრეცილ პორტფელს განსვენებული მიტროსანი დეკანოზის ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძის ხელნაწერი ხუთტომეულით_ჩემსა და მუზეუმს შორის დადებული ორმხრივ ხელმოწერილი იურიდიკულად მართებული ნოტარიალურად დადასტურებული ხელშეკრულების საფუძველზე_ჩავაბარებ.

ხოლო მათ უწმიდესობასთან საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კათოლიკოს_პატრიარქთან საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური

ავტოკეფალური ეკლესიისა ეპარქიათა მღვდელთმთავართა თანდასწრებით აუდიენციისას მათ უწმიდესობას ლურჯ ყდიან საქაღალდეს ხელნაწერი ხუთტომეულის სრულად გადაბეჭდილი ერთადერთი ეგზემპლარით პირადად გადავცემ.

ხოლო ორი რუხ ყდიანი ურთიერთის მსგავსი საქაღალდიდან ხელნაწერი ხუთტომეულის სრულად გადაბეჭდილი ერთადერთი ეგზემპლარის თითო_თითო ფოტო_პირით: ერთ-ერთ საქაღალდეს ხელნაწერთა ავტორის შვილებს და მათ ნაშიერებს გადავცემ, დაე თვითონ შესაფერი რაოდენობით გადაამრავლონ; ხოლო მეორე საქაღალდეს ჩემთვის დავიტოვებ.

<u>აბესალომი:</u> იოანე_ლაზარე ზებედეს ძე ერთხანს იმ ოთახიდან გავიდა, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა, და დიდი ლანგრით საუზმე შემოიტანა, მაგიდის მეორე კიდეზე ლანგარი დადო, საუზმე გააწყო და მიმიპატიJა, შეფიცხული პური, ბოსტნეულის და ბრინჟის შეჭამანდები საკმაზ_სანელებლით, ჩაი მურაბით... ხოლო ნასაუზმევს მან იმ ოთახში მარტო დამტოვა, კარიც მიმიხურა.

ორი რუხ ყდიანი ურთიერთის მსგავსი საქაღალდიდან ერთ_ერთი საქაღალდე გადავშალე, და განსვენებული მიტროსანი დეკანოზის ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძის_ჩემი წინაპრისა_ხელნაწერი ხუთტომეულის სრულად გადაბეჭდილი ერთადერთი ეგზემპლარის ერთ_ერთი ფოტო_პირის კითხვას შევუდექი...

ხოლო რამდენიმე დღეში ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისს დავტოვებ.

და იმ გზას გავუყვები, რომელი გზაც საუკუნიდან საუკუნემდე ქართველთა ყველა თაობის წარმომადგენლებს გაუვლიათ, თუმცა მამა_პაპისა მიერ უკვე გავლილ იმ გზას ქართველთა ყოველი მომდევნო თაობა ხელახლა გაიკვლევს, და იმ გზაზე შემდგარი ყოველი ქართველი თითქოსდა იმ გზისა ხელახალი პირველგამკვლევია.

დიახ, რამდენიმე დღეში ლიხს_დასავლეთის მთავარ_ქალაქ ქუთაისს დავტოვებ.

და ლიხს_დასავლეთსა შინა... ქვემო_იმერეთის სამხრეთ_დასავლეთი, და მდინარის რიონის მარჯვენა მხარეს_ქვემო_იმერელი თავადების მიქელაძეების მამაპაპეული საგვარეულო სამემკვიდრეო სამფლობელო ანუ სამიქელაძეო, და სამიქელაძეოს შუაგულს დაბა კულაში, და მუნ მიქელაძეების მამაპაპეული საგვარეულო მთავარი_ციხე_დარბაზი, ხოლო დაბისა კულაშის ჩრდილოეთით მახლობლად სოფელი ჭაგანი, თუმცა ჩემი ბავშვობა_მოსწავლეობისას, ზაფხულობით, იქ_კულაშში, და ჭაგანში_ყურმოკრული რომანტიკული ნახევრად_ლეგენდების ახლა გამოჩხრეკისა და გამომზეურებისა დრო არ არის... ჟობს, რამდენიმე დღეში ჩემ მიერ გასავლელი გზა გავისიგრძეგანო... მაშ, სამიქელაძეო, ხოლო სამიქელაძეოს სამხრეთ განაპირას ქალაქი სამტრედია, და რკინიგზის სამტრედიის სადგური_ლიხს_დასავლეთის სარკინიგზო მთავარი კვანძი, ხოლო მახლობლად მდინარე რიონს მარჯვნიდან მდინარე ცხენისწყალი შეერთვის,

ხოლო რიონ_ცხენისწყლისა შესართავის მახლობლად_ქვემო_იმერეთის და სამეგრელოსი და გურიისა მიჟნა; და რიონის ქვემოწელი, სამეგრელოსი და გურიისა გამმიჟვნელი, და შავ ზღვასთან, რიონის შესართავთან, ქალაქი ფოთი; და გურია, და გურიასა შინა შავ ზღვაში მდინარეები სუფსა და ნატანები ჩაედინებიან.

ხოლო მესხეთსა შინა. აჭარა, და აჭარასა შინა: შავ ზღვაში მდინარეები კინტრიში და დეხვი და ჩაქვისწყალი ჩაედინებიან, ხოლო შავი ზღვის პირას, ჩაქვისწყლისა შესართავთან, მაღალსა კლდესა ზედა ქაჟეთის_ციხე, მტკიცე, შეუვალი, კლდესა შინა აქვს გვირაბი, გამოკვეთილი გზად... და შავ ზღვაში მდინარეები ყოროლისწყალი და ბარცხანა და ჭოროხი ჩაედინებიან, და შავ ზღვასთან, ყოროლისწყლისა და ბარცხანისა და ჭოროხის შესართავებთან, აჭარის მთავარ_ქალაქი ბათუმი... და შავ ზღვაში მდინარე ტიბაში_აჭარისა და კლარჟეთის გამმიჟვნელი_ჩაედინება, და შავ ზღვასთან, ტიბაშის შესართავთან, სოფელი სარფი, და ოსმანთა სასულთნოსთან სასაზღვრო ზოლი...

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით გველის წელსვე, და ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ახლებური სტილით 4 სექტემბერს, კვირა_დღეს, მურვანმა და ეთერმა იქორწინეს.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით გველის წელსვე, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვისას, მურვანს ოცდაექვსი წელი შეუსრულდა.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> და იგი შორეულ_აღმოსავლეთში გაამწესეს, მაშრიყ_მაღრიბეთის იაკუტიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს გუბერნატორად დააწინაურეს.

და იგი მეუღლითურთ ახალი დანიშნულების ადგილას გამგზავრებულა, და იაკუტიის მთავარ_ქალაქ იაკუტსკში ბინა დაუდევს...

მეოთხე ფრაგმენტი

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

მურვან დავითის ძის სამსახურებრივი წინსვლისა სრული ნუსხა.

მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის წევრის_მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს გენერალ_გუბერნატორის ადიუტანტ_რეფერენტი.

მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს ერთ_ერთი მაზრის უფროსი.

მაშრიყ_მაღრიბეთის ივერიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს ვიცე_გუბერნატორი.

მაშრიყ_მაღრიბეთის იაკუტიის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს გუბერნატორი, იაკუტიის მთავარ_ქალაქ იაკუტსკში რეზიდენცია.

მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის წევრი_მაშრიყ_მაღრიბეთის დასავლეთ_თურქესტანის ეგრეთ წოდებული პერიფერიული სახანოს გენერალ_გუბერნატორი, დასავლეთ_თურქესტანის მთავარ_ქალაქ ტაშკენტში რეზიდენცია.

მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის წევრი_მაშრიყ_მაღრიბეთის ისპაჰანის მეტროპოლიური სახანოს გენერალ_გუბერნატორი, და მაშრიყ_მაღრიბეთის მთავარ_ქალაქის და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქის ისპაჰანის ობერ_ბურგომისტრი.

მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს წევრი_მაშრიყ_მაღრიბეთის ნავთობმოპოვების, ნავთობის გადამუშავების, რეზერვაციის და ტრანსპორტირების, ნავთობქიმიური მრეწველობის და ნავთობპროდუქტების რეალიზაციის მინისტრი.

ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო აღმოსავლური კალენდრით თაგვის ნაკიან წელს, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით და საქართველოს

ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვისას, მურვან დავითის ძეს ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა.

ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო მათი მაღალაღმატებულება მაშრიყ_მაღრიბეთის Gენერალის_სეცრეტარიუს_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯდომარე გარდაიცვალა.

და მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს დადგენილებით.

მათი მაღალაღმატებულება მაშრიყ_მაღრიბეთის Gენერალის_სეცრეტარიუს_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრა-ლური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯდომარე მურვან დავითის ძე შეიქნა.

ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს მომდევნო დადგენილებით.

მათი მაღალაღმატებულების მაშრიყ_მაღრიბეთის Gენერალის_სეცრეტარიუს_ის უმაღლესი თანამდებობა გაუქმდა.

და მათი უდიდებულესობისა მაშრიყ_მაღრიბეთის შაჰინშაჰის ზეუმაღლესი ხარისხი_თანამდებობა დაწესდა.

და მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს იმ დადგენილებითვე.

მათი უდიდებულესობა მაშრიყ_მაღრიბეთის შაჰინშაჰი_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯდომარე_და მაშრიყ_მაღრიბეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მურვან დავითის ძე შეიქნა.

მეხუთე ფრაგმენტი

ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ_ატლანტიკური შტატები, და მერილენდის და ვირჟინიის შტატებს შორის, მდინარის პოტომაკის მარცხენა მხარეს, ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი ვაშინგტონი, და მის შუაგულში თეთრი_სახლი, სადაც მათი მაღალაღმატებულების ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენცია და კანცელარია განთავსებულია.

და ვაშინგტონიდან, თეთრი_სახლიდან, ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ხანგრძლივი გლობალური საერთაშორისო ზეწოლით, და მათი ეროვნული ვალუტის_ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის მძლავრობით, ეგრეთ წოდებული მსოფლიო_ახლებური_წესრიგი დამყარდა, და მსოფლიოს სახელმწიფოებრივ_პოლიტიკური რუკაც გარეგნულად გადასხვაფერდა, გამრავალფეროვნდა...

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა_აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიანი წლისა_ორმოცდარვადღიანი დიდი მარხვა_ასტრონომიული ნიშნებით თევზების ზოდიაქოში_ძველი სტილით 25 თებერვალს ანუ ახლებური სტილით 9 მარტს, და რაღა თქმა უნდა ორშაბათს დაიწყო.

ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიანი წელი, და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქო, ახლებური სტილით 24 მარტი, სამშაბათი.

ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი ვაშინგტონი, თეთრი_სახლის პრეს_ატაშის განცხადება: მაშრიყ_მაღრიბეთის სატახტო_ქალაქი და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქი ისპაჰანი, ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატებისა მაშრიყ_მაღრიბეთში საელჩოსი პრეს_ატაშეს.

მათმა მაღალაღმატებულებამ ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა_ნათქვამია განცხადებაში_გადაწყვიტა გადადგას სასწრაფო ნაბიჯები ევერიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად... ევერიის

სამხედრო_სამოქალაქო დროებითი ძალაუფლება ახორციელებს ღონისძიებებს ივერიაში ეროვნულ უმცირესობებთან თანხმობის მისაღწევად, და ივერიის სამხედრო_სამოქალაქო დროებითი ძალაუფლება აცხადებს, რომ განზრახული აქვს წელსვე დანიშნოს და კიდეც გამართოს ივერიის პარლამენტის საყოველთაო, ნებაყოფლობითი, ფარული, პირდაპირი, დემოკრატიული არჩევნები, რის შემდეგ ივერიის სამხედრო_სამოქალაქო დროებითი ძალაუფლება ივერიის ახალარჩეული პარლამენტის მიერ ჩამოყალიბებულ ივერიის მთავრობას ძალაუფლებას გადასცემს, და თვითგაუქმდება... ემყარება რა ივერიის სამხედრო_სამოქალაქო დროებითი ძალაუფლების ამგვარ ქმედობას და მიზანსწრაფვას, მათ მაღალაღმატებულებას ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატები ივერიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დაინტერესებულია. და ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში: ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატებისა ივერიაში საელჩო გაიხსნება, და მათ აღმატებულებას ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატებისა ივერიაში ელჩს წარგზავნიან. და ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს ივერიის უშუალო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, და პირველ ყოვლისა_საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, და მსოფლიო ბანკთან.

<u>ქ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს.

ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოშივე, ახლებური სტილით აპრილის დამდეგს, ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, და ევროპის სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკურმა საკორდინაციო_საკონსულტაციო საბჭომ, და გერმანიის კავშირმა, და ისრაელის სახელმწიფომ, და ოსმანთა სასულთნომ, ივერიასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს, და აქ, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში: მათი ივერიაში საელჩოები გაიხსნა, და მათ თავ_თავისი ივერიაში ელჩი წარმოგზავნეს.

და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოშივე, ახლებური სტილით 12_13 აპრილს, კვირა_დღეს და ორშაბათს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში_მათი მაღალაღმატებულების გერმანიის კავშირის კანცლერის განკარგულებით_მათი აღმატებულება გერმანიის კავშირის ვიცე_კანცლერი_გერმანიის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური მეგობრული და ჩვენთვის ისტორიული ვიზიტით გახლდათ.

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა_აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიანი წლისა_ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული_ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში_ძველი სტილით 13 აპრილს ანუ ახლებური სტილით 26 აპრილს, და რაღა თქმა უნდა კვირა_დღეს, და იმ წლისა ბრწყინვალე კვირა_დღეს აღინიშნა.

ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს.

ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში, ახლებური სტილით 18_19 მაისს, ორშაბათ_სამშაბათს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში_მათი უდიდებულესობისა ოსმანთა სულთნისა ნება_სურვილით, და მათი აღმატებულების ოსმანთა სასულთნოსი პრემიერ_მინისტრის შესატყვისი განკარგულებით_მათი აღმატებულება ოსმანთა სასულთნოსი საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გახლდათ.

ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, ახლებური სტილით 25_26 მაისს, ორშაბათ_სამშაბათს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში_მათი მაღალაღმატებულების ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განკარგულებით_მათი აღმატებულება ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი_ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაური ოფიციალური მეგობრული და ჩვენთვის ისტორიული ვიზიტით გახლდათ.

და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოშივე, მომდევნო დღეებში, ახლებური სტილით 27_28_29 მაისს, ოთხშაბათ_ხუთშაბათ_პარასკევს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, ივერიის სამხედრო_სამოქალაქო დროებითი ძალაუფლების სახელზე მოვიდა არა ერთი და ორი მოსალოცი დეპეშა, რომლებსაც ევროპის სუვერენული სახელმწიფოების მეთაურები, და პრემიერ_მინისტრები, და საგარეო საქმეთა მინისტრები პერსონალურად ხელს აწერენ.

ხოლო ასტრონომიული ნიშნებით ლომის ზოდიაქოში, ახლებური სტილით 28_29 ივლისს, სამშაბათ_ოთხშაბათს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში_მათი უდიდებულესობისა ოსმანთა სულთნისა ნება_სურვილით_მათი აღმატებულება ოსმანთა სასულთნოსი პრემიერ_მინისტრი და მათი აღმატებულება ოსმანთა სასულთნოსი საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გახლდნენ.

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

თავის დროზე ერთა მსოფლიო ლიგის დაარსებისას მის სამომავლო სამოქმედო პროგრამას ქვაკუთხედად თურმე ასეთი თეზისი დაუდეს.

`ერთა გაერთიანება იმგვარ განსაკუთრებულ სტატუტებს დაეფუძნება, რომლებიც ამ გაერთიანების წევრი ყველა სახელმწიფოსი_როგორც დიდი სახელმწიფოების, ასევე ეგრეთ წოდებული მცირე სახელმწიფოების_პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფენ.~

ქ ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ლომის ზოდიაქოში, ახლებური სტილით 31 ივლისს, პარასკევს, ერთა მსოფლიო ლიგის გენერალურმა ასამბლეამ ერთა მსოფლიო ლიგის უშიშროების მუდმივმოქმედი საბჭოს რეკომენდაციით ერთა მსოფლიო ლიგის ახალ სრულუ-ფლებიან წევრად სუვერენული ივერია მიიღო.

და ერთა მსოფლიო ლიგის უშიშროების მუდმივმოქმედი საბჭოს სამდივნომ მათი აღმატებულება ერთა მსოფლიო ლიგისა ივერიაში რეზიდენტ_კოორდინატორი დანიშნა, და ივერიაში წარმოგზავნა.

ხოლო ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში, ერთა მსოფლიო ლიგის სახლი გაიხსნა, სადაც მათი აღმატებულების ერთა მსოფლიო ლიგისა ივერიაში რეზიდენტ_კოორდინატორის ოფისი განთავსდა.

აბესალომი: თოთხმეტი წელი და შვიდი თვე უცხო ქვეყნებში დავყავი...

ხოლო აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოში, ახლებური სტილით მარტის მიწურულს, სამშობლოში დავბრუნდი.

აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიანი წელი, და ასტრონომიული ნიშნებით ისევ ვერძის ზოდიაქო, ახლებური სტილით 1 აპრილი, ოთხშაბათი.

ივერია. ლიხს_აღმოსავლეთი. ქართლი. ქვემო_ქართლი. ტფილისის ქვაბული.

და ტფილისის ქვაბულში, მდინარის მტკვრისა ორივე მხარეს_ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი.

და ჩემს მშობლიურ ქალაქში დამხვდნენ.

ჩემი მშობლები.

დავით იესეს ძე ქაჟაია. და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით მორიელის ზოდიაქოში, მას სამოცდარვა წელი შეუსრულდება.

და ნათელა ნიკოლოზის ასული დოლაბერიძე. და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, მას სამოცდაერთი წელი შეუსრულდება.

და ჩემს მშობლიურ ქალაქში დამხვდნენ.

ჩემი ბიძა, მამისა უფროსი ძმა, მელქისედეკ იესეს ძე ქაჟაია. და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით კირჩხიბის ზოდიაქოში, მას სამოცდათორმეტი წელი შეუსრულდება.

და ჩემი დედმამიშვილები, დები, გუარანდუხტ დავითის ასული ქაჟაია და ეკატერინე დავითის ასული ქაჟაია, და მათი მეუღლეები, და მათი შვილები_ჩემი დისშვილები.

და ჩემი ბაბუა, დედისა მამა, ნიკოლოზ ვასილის ძე დოლაბერიძე. და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით მერწყულის ზოდიაქოში, მას ოთხმოცდაათი წელი შესრულებია.

და ჩემი სამივე დეიდა: დედისა უფროსი დაი ლია ნიკოლოზის ასული დოლაბერიძე, და დედისა ტყუპი დაი ცისანა ნიკოლოზის ასული დოლაბერიძე, და დედისა უმცროსი დაი სოფიო ნიკოლოზის ასული დოლაბერიძე, და მათი მეუღლეები, და მათი შვილები_ჩემი დეიდაშვილები, და მათი მეუღლეები, და მათი შვილები_ჩემი დეიდაშვილების შვილები.

და ჩემი ნათესავები...

და ჩემი მეგობრები...

და ჩემი ნათლულები (ჩამოთვლის თანმიმდევრობა ასაკობრივი უფროს_უმცროსობით): ვაჟა მიხეილის ძე შვილდაძე, ოთარ ამირანის ძე მელია, სოფიო იოანეს ასული მუსელიანი, ქეთევან რაულის ასული წულაია, ანა იოანეს ასული მუსელიანი, ნინო ზურაბის ასული სურვილაძე, არჩილ გიორგის ძე ძიძიგური, და ანა ზურაბის ასული სურვილაძე. და ჩემი რვა ნათლულიდან ექვსი სამშობლოდან ჩემი გადახვეწის შემდეგ დაიბადა, და აქამდე მათი ნათლია დაუსწრებლად გახლდით.

ჩემს მშობლიურ ქალაქში ჩემი უკლებლად ყველა ახლობელი_ამდენი წლის გადახვეწილს_რაღა თქმა უნდა ცოცხალი არ დამხვდა...

ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი.

და მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ვერის უბანი, და ვერის უბნისა თავში, ვერისა მყუდრო და ლამაზი სასაფლაო, და იმ სასაფლაოს შუაგულს_წმიდისა მკურნალის და დიდმოწამისა პანტელეიმონის სახელობისა ეკლესია.

და მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ქალაქის ჩრდილო_დასავლეთით ვაკისა და საბურთალოს სასაფლაოები.

და მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ქალაქის ტფილისის ჩრდილოეთ განაპირას, საქართველოს თავდაპირველი დედაქალაქის და საქართველოს სამეფოს თავდაპირველი სატახტო_ქალაქის მცხეთისაკენ მიმავალი გზატკეცილის

ხელმარცხნივ მუხათგვერდის სასაფლაო.

და აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით მორიელის ზოდიაქოში, ჩემი ბაბუა, მამისა მამა, იესე იობედის ძე ქაჟაია გარდაცვლილა. და თვისი დაბადებიდან ოთხმოცდამეოთხე წელს გარდაცვლილა. და საბურთალოს სასაფლაოზე მისი ნეშტი დაუკრძალავთ.

და აღმოსავლური კალენდრით ტახის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოში, ჩემი მამისა ბავშვობიდან თანაშეზრდილი მეგობარი და ტფილისის ვაJთა კლასიკური გიმნაზიიდან თანაკლასელი და თანამერხელი, ჩემი ძვირფასი ნათლია ზურაბ გრიგოლის ძე ნემსიწვერიძე გარდაცვლილა. და თვისი დაბადებიდან ორმოცდამეცხრამეტე წელს გარდაცვლილა. და ვერისა მყუდრო და ლამაზ სასაფლაოზე წმიდისა მკურნალის და დიდმოწამისა პანტელეიმონის სახელობისა ეკლესიის მახლობლადვე ჩემი ნათლიისა ნეშტი დაუკრძალავთ.

და აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ჩემი ბებია, მამისა დედა, მარიამ იოაკიმეს ასული მიქელაძე გარდაცვლილა. და თვისი დაბადებიდან ოთხმოცდამეშვიდე წელს გარდაცვლილა. და საბურთალოს სასაფლაოზე თვისი მეუღლისა და ჩემი ბაბუის იესე იობედის ძე ქაჟაიას ნეშტსაყუდელთან მისი ნეშტი დაუკრძალავთ.

და აღმოსავლური კალენდრით ცხენის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ქალწულის ზოდიაქოში, ჩემი ბებია, დედისა დედა, ეკატერინე მიხეილის ასული გაგუა გარდაცვლილა. და თვისი დაბადებიდან ოთხმოცდამეხუთე წელს გარდაცვლილა. და მუხათგვერდის სასაფლაოზე მისი ნეშტი დაუკრძალავთ.

აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიანი წელი, და ასტრონომიული ნიშნებით ისევ ვერძის ზოდიაქო, ახლებური სტილით 9 აპრილი, ხუთშაბათი.

ივერია. ლიხს_აღმოსავლეთი. კახეთი. კუხეთი ანუ შემდგომდროინდელი_და ახლანდელი გარეკახეთი.

და გარესჟის სერისა კლდოვანი მთები ბუნებრივი გამოქვაბულებით_მღვიმეებით... და გარესჟისა პირველი მონასტერი_წმიდისა და ღირსის საეკლესიო მამისა და იმ მონასტრის დამაარსებლისა დავით გარესჟელის სახელობისა ლავრა_მონასტერი, ხოლო გარესჟას და მის სანახებს_მიდამოებს აკი კრებითად ეწოდა დავითგარესჟა, და იქაურ მონასტრებს_დავითგარესჟისა მონასტრები.

ხოლო იმ დღეს, ახლებური სტილით 9 აპრილს, ხუთშაბათს, წმიდისა და ღირსის საეკლესიო მამისა დავით გარესჟელის სახელობისა ლავრა_მონასტერს ვესტუმრე.

და ლავრა_მონასტრისა ერთ_ერთ^ სენაკში დამაბინავეს.

და ლავრა_მონასტერში სამონასტრო_მსახური გახლდით, ლოცვა_წირვისას

ზარის_რეკა და ფსალმუნთ_კითხვა მევალებოდა.

და აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელსვე, და ასტრონომიული ნიშნებით ტყუპის ზოდიაქოში, და ერთ დღესაც, იქ, ორმოცი წელი შემისრულდა...

მეექვსე ფრაგმენტი

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიანი წლისა მომდევნო მამლის წლისა მომდევნო ძაღლის წლისა მიწურული.

და ასტრონომიული ნიშნებით თხის_რქისა ზოდიაქო.

<u>ბ ნი მთხრობელი:</u> ხოლო საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით შობის წინა მარხვა.

ძველი სტილით 18 დეკემბერი, შაბათი.

ხოლო ახლებური სტილით 31 დეკემბერი, შაბათი.

<u>მასხარა:</u> დიახ, ახლებური სტილით 31 დეკემბერია, შაბათია.

ხოლო ღამე ახალი წელი დადგება, აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წლისა მომდევნო ტახის წელი დადგება...

<u>აბესალომი:</u> დიახ, ახლებური სტილით 31 დეკემბერია, შაბათია.

ხოლო ღამე ახალი წელი დადგება, აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წლისა მომდევნო ტახის წელი დადგება... და ახალ წელს, ივერიის მთავარ_ქალაქ ტფილისში ვხვდები, სადაც თავის დროზე თურმე ჩემთვის პირველ ახალ წელს, მომდევნო ახალ წლებსა და ჩემთვის ოცდამეხუთე ახალ წელსაც შევხვდი... და მას შემდეგ თვრამეტი წელიც გასულა. და აჰა, ახალ წელს, ჩემთვის ორმოცდამესამე ახალ წელს, ისევ მშობლიურ ქალაქში ვხვდები...

ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით ტახის წელს ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებულ სუვერენულ ივერიაში ეროვნული ვალუტა შემოღებულ იქნებაო, ხოლო ივერიაში ეროვნული ვალუტის შემოღებამდე ფულადი ანგარიშსწორება ოფიციალურად ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ_ისევ და ისევ_სპარსული რიალებით. დიახ, ივერიაში ოფიციალურად ასეა ნებადართული, მაგრამ ივერიაში რეალურად ყველა სოლიდური ფულადი ანგარიშსწორება ჩრდილოეთ_ამერიკის შეერთებული შტატების დოლარებით ხდება...

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჯვენა მხარე, ქალაქის ჩრდილო_დასავლეთით ვაკისა და საბურთალოს სასაფლაოები, ხოლო ვაკის დასახლებისა ბოლოს_ვაკის სასაფლაომდე არ მისული, ვაკის დასახლებიდან ვაკის სასაფლაოს იქით დაბისა ბაგებისაკენ და დაბისა წყნეთისაკენ მიმავალი გზატკეცილის ხელმარჯვნივ, თუმც არა გზატკეცილის გაყოლებაზე, არამედ შედარებით სიღრმეში, თითქოსდა განცალკევებით მდებარე კარ_მიდამო.

მასხარა: და აღმოსავლური კალენდრით ტახის წლისა დამდეგს, და ასტრონომიული ნიშნებით თხის_რქისა ზოდიაქოში, ახლებური სტილით შუა_იანვარს, აბესალომ დავითის ძემ ის კარ_მიდამო შეიძინა.

ბ_ნი მთხრობელი: და იმ კარ_მიდამოს_პატარა ეზო, და ერთსართულიანი სახლი, ღია აივნით, და ორი ოთახით, და დამხმარე სათავსოებით_ქვიტკირის დაბალი გალავანი არტყია, ზედ შემოწნული ტყრუშული ღობით. გალავან_ღობეშივე ჩადგმულია რკინის ჭიშკარი, საიდანაც სახლისკენ მიემართება მოკირწყლული ბილიკი, რომლის ბოლოსაც სამსაფეხურიანი ქვის კიბეა, ხოლო კიბის თავთან, ღია აივნისა ხის მოაჟირშივე ჩაჭრილია სახლში შესასვლელი. თვით სახლში ორივე ოთახის საერთო კედელში დატანებულია აგურის ბუხარი ორმხრივი კერით ანუ სანთებით. და კარ_მიდამოს გემოვნებით გაშენებული, ხეხილის მცირე ბაღი ამშვენებს.

მასხარა: და აღმოსავლური კალენდრით ტახის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით მერწყულის ზოდიაქოში, ახლებური სტილით შუა_თებერვალს, იქ, აბესალომ დავითის ძე დასახლდა.

ხოლო დაბათა ბაგებისაკენ და წყნეთისაკენ მიმავალი გზატკეცილის ორივე მხარეს სპორტული კომპლექსებია და გზატკეცილის გადაღმა_კუთა ტბისაკენ აღმავალი ფერდობი, რომელსაც აბესალომ დავითის ძე თითქმის ყოველ დილით ფეხით შეუდგება, და იგი ორ_სამ საათს ბუნების წიაღში_ტბისა სიახლოვეს ატარებს...

<u>ბ ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა_აღმოსავლური კალენდრით ტახის წლისა_ორმოცდარვადღიანი დიდი მარხვა_ასტრონომიული ნიშნებით თევზების ზოდიაქოში_ძველი სტილით 21 თებერვალს ანუ ახლებური სტილით 6 მარტს, და რაღა თქმა უნდა ორშაბათს დაიწყო.

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აღმოსავლური კალენდრით ტახის წელი.

და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქო.

ძველი სტილით 25 მარტი, პარასკევი.

ანუ ახლებური სტილით 7 აპრილი, პარასკევი.

<u>ბ ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით ყოველწლივ.

ძველი სტილით 25 მარტი, მთავარანგელოზის გაბრიელის მიერ ყოვლად_წმიდისა მარიამის ხარებისა საეკლესიო დიდი დღესასწაული.

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარცხენა მხარე, მიხაილ სემიონის ძე ვორონცოვის სახელობის პროსპექტი #43 / გაბრიელ მკრტიჩის ძე სუნდუკიანის სახელობის ქუჩა #2, ორსართულიანი სახლი, ღვინის სარდაფით, პირველ სართულზე საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტი, ხოლო მეორე სართულზე, და ეზოსა შინა_ბინები.

და იმ სახლის მეორე სართულზე_საყოფაცხოვრებო_მომსახურების ობიექტის თავზე_ჟონდო დავითის ძის ბინა.

<u>ჟონდო დავითის ძე:</u> ზუსტად თვრამეტი წლის წინ_აღმოსავლური კალენდრით გველის წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოში,

ძველი სტილით სწორედ_რომ 25 მარტს ანუ ახლებური სტილით 7 აპრილს, ხუთშაბათს, ხოლო საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით მთავარანგელოზის გაბრიელის მიერ ყოვლად_წმიდისა მარიამის ხარებისა საეკლესიო დიდ დღესასწაულს, ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა: ორმოცდარვადღიანი დიდი მარხვისა ბოლო, მეშვიდე კვირეულის ანუ ვნების კვირეულის დიდ ხუთშაბათს_ივერიის მთავარ_ქალაქში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ქალაქის ჩრდილო_დასავლეთით, საბურთალოს სასაფლაოზე აკი დამაპატიმრეს.

და პატიმრობაში ზუსტად თხუთმეტი წელი გავატარე.

ხოლო ზუსტად სამი წლის წინ_აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის ნაკიან წელს, და ასტრონომიული ნიშნებით ვერძის ზოდიაქოში, ძველი სტილით სწორედ_რომ 25 მარტს ანუ ახლებური სტილით 7 აპრილს, სამშაბათს, ხოლო საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კალენდრით მთავარანგელოზის გაბრიელის მიერ ყოვლად_წმიდისა მარიამის ხარებისა საეკლესიო დიდ დღესასწაულს_განვთავისუფლდი და აქეთ, ივერიის მთავარ_ქალაქისკენ გამოვსწიე.

პატიმრობაში ზუსტად თხუთმეტი წელი აკი გავატარე.

პირველი ორი თვე, სასამართლომდე, ივერიის მთავარ_ქალაქში, მტკვრისა მარჯვენა მხარეს, ორთაჭალაში, ივერიის მთავარ_ქალაქის #1 ციხეში_ეგრეთ წოდებულ გენერალ_საგუბერნატორო ციხეში გახლდით.

ერთი თვეც სპეციალური მატარებლით_ეგრეთ წოდებული ეტაპით_შორეულ გზას მოვუნდი.

და თოთხმეტი წელი და ცხრა თვეც შორეულ_ჩრდილოეთში, და კერძოდ ეგრეთ წოდებული თეთრი_დათვების_ქვეყანაში დავყავი.

ჰოდა, ის საკონცენტრაციო ბანაკი_უამრავი იმგვარი საკონცენტრაციო ბანაკის მსგავსად_სამი მხრიდან დენიანი მავთულხლართებით და მაღლივ საგუშაგოზე მდგომი, ავტომატებით და ძაღლებით შეიარაღებული გუშაგებით დაცული იყო. ხოლო მეოთხე მხრიდან საკონცენტრაციო ბანაკებს ოკეანისა ყინულოვანი ნაპირი ერტყა. მოქალაქეობრივ ელემენტარულ უფლებებს აყრილი პატიმრები იმ უფასო მუშახელს წარმოადგენდნენ, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ იმდენს აჭმევდნენ და აცმევდნენ, რომ მძიმე შრომა შესძლებოდათ, ხოლო შრომის საზღაურად არ კლავდნენ. საკონცენტრაციო ბანაკის ერთი ნაწილი ქალთა საპატიმროს ეკავა, იგი დანარჩენი ტერიტორიიდან კედლით გამოყოფილი იყო. იქ, სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და წარმოშობის ქალები თავმოყრილ იყვნენ წამების, დაუნაყრებლობის, ყინვისა და მძიმე ფიზიკური შრომის თანასწორ პირობებში მამაკაცებთან...

ერთხელაც ისპაჰანში თურმე შენიშნეს, რომ პატიმრები დიდ, მაგრამ მაინც არა იმდენ ფინანსურ მოგებას იძლევიან, რამდენიც მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის წევრს_მაშრიყ_მაღრიბეთის ეკონომიკური_დაგეგმარების მინისტრს უბრძანებია. დაიწყეს ამის მიზეზთა კვლევა

და მიზეზიც აღმოაჩინეს. ორსული და ახლად ნამშობიარები ქალების ფიზიკური შრომით დატვირთვა_მოგეხსენებათ_არ შეიძლება, ისინი უუნარონი არიან პროდუქტიული შრომისათვის. პატიმარმა ქალებმაც რა დაინახეს, რომ ორსულობა მუშაობისგან თავის არიდების საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად უმატეს შობადობას... ვერც ქალთა საპატიმროების მკაცრმა იზოლაციამ გაჭრა. გარკვეულ გასამრჯელოდ გუშაგები მაინც ახვედრებდნენ პატიმარ ქალებსა და კაცებს. და აი, იმპერიის პატიმარ ქალთა მრავალრიცხოვანი არმია იმპერიისათვისვე ეკონომიკურად არამომგებიანი გახდა. და მათ კიდევ ახალშობილებიც ემატებოდნენ, რომლებზეც მინიმალური, მაგრამ მაინც გარკვეული რაოდენობა საჭმელი და ტანსაცმელი იხარჯებოდა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ უმჯობესად ჩათვალა პატიმარ ქალთა საყოველთაო ამნისტიის პროექტი მოემზადებინა, თუმცა...

მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს წევრი_მაშრიყ_მაღრიბეთის საკონტროლო_სარევიზიო_საინსპექციო_სამედიატორო გაერთიანებული_საგანგებო_კომისიის თავმჯდომარე, განსაკუთრებულად გავლენიანი პირი, საკმაოდ ხნიერი კაცი, თითქოსდა დაუშრეტელი ენერგიით... და მან ახლაც ვერ მოისვენა. და მას უბრძანებია: შექმნილ მდგომარეობას ადგილზევე შევისწავლიო. და იგი სპეციალური სამთავრობო ყინულმჭრელი გემით იმპერიის უკიდურესი ჩრდილო_დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გაეშურა, და ყინულმჭრელიდან ოკეანისა ყინულოვანი ნაპირის გასწვრივ განლაგებულ საკონცენტრაციო ბანაკებს უამრავი პატიმრით შეჰყურებდა. და ყინულმჭრელმა ოკეანე გადასერა, იმპერიის უკიდურეს ჩრდილო_აღმოსავლეთს მიაღწია, და უკან დასაბრუნებლად მოემზადა. საიმპერიო მაღალი პირის ბრძანებასღა ელოდნენ. მისი მკაცრი სახე ამ მოგზაურობისას კიდევ უფრო მოიღუშა, მთელი გზა სიტყვა არ დასცდენია... და აი, ბოლოს და ბოლოს, ბრძანების გასაცემად მოემზადა.

ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ოკეანისა მთელი ნაპირის გასწვრივ, საკონცენტრაციო ბანაკების დენიანი მავთულხლართების მიღმა რკინიგზა გადიოდა, თვითონ პატიმართა ხელით აშენებული. და საიმპერიო მაღალმა პირმა ბრძანა: დედებს ყველა ბავშვი მოაშორეთო, და ბავშვები საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოიყვანეთო; აასრულეს! და ისევ ბრძანა: ბავშვები რკინიგზის ლიანდაგზე დაყარეთო; აასრულეს! და პატიმარი ქალები დგანან, მათ უკან გუშაგები ავტომატებით და ძაღლებით დგანან, წინ დენიანი მავთულხლართებია, მის იქით რკინიგზის ლიანდაგია, და ლიანდაგზე_მათი ბავშვები...

და აი, საიმპერიო მაღალი პირის ბოლო ბრძანებაც გაისმის: მე ყინულმჭრელით უკანვე ვბრუნდები, ხოლო ლიანდაგზე მატარებლის ეშელონმა იმოძრაოსო.

და მრავალტონიანი მატარებლის ეშელონი იმპერიის უკიდურესი ჩრდილო_აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დაიძრა, იმპერია გადასერა და თავისი რკინის თვლებით ლიანდაგზე დაყრილ ასობით ბავშვს გადაუარა... და მატარებლის ეშელონის ბორბლებს თოვლთან ერთად, ბავშვთა სისხლი, თმები, ნაწლავები მიკრობოდა. ის ბავშვები, რომლებმაც ლიანდაგიდან

გადასვლა მოახერხეს, ყინვამ და შიმშილმა მოსპო. პატიმარ დედათაგან, ბევრი დენიან მავთულხლართებზე მიკრული გარდაიცვალა, როდესაც შვილთა შველას ცდილობდნენ, ბევრიც ჭკუიდან შეირყა...

საიმპერიო მაღალი პირი ისპაჰანში დაბრუნდა.

და მან ყოველივე ეს რატომ გააკეთა? რათა მომავალში პატიმარ ქალებს, რომლებმაც თავისი თვალით უცქირეს ამ ამბავს და იმათაც, ვისაც შემდგომში დააპატიმრებდნენ და სხვათა მონაყოლით გაიგებდნენ მომხდარის შესახებ, აღარ დაბადებოდათ სურვილი პატიმრობისას ბავშვების გაჩენისა და სამუშაოდან თავის არიდებისა; და საერთოდ, ყველა პატიმარი უკლებლივ, ქალი თუ კაცი, საბოლოოდ უნდა დარწმუნებულიყო, თუ რაოდენ სავალალო შედეგი მოსდევს მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ცუღლუტობას, თვალთმაქცობას, ეშმაკობას და საერთოდ მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური ხელისუფლების ნება_სურვილისადმი რამე ფორმით წინააღმდეგობის გაწევას თვითვე ურჩთათვის.

არასოდეს არავისთან სიტყვა არ დამცდენია ამის შესახებ და არც ახლა მოვყვებოდი, რომ არა ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის პრესა; ჩვენივე, ადგილობრივი, აქაური, გუშინდელი გაზეთები იუწყებიან, რომ ის საიმპერიო მაღალი პირი, ვინც ერთ დროს მოიმოქმედა ყოველივე ეს, ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა... და ნეკროლოგებში ახალგარდაცვლილის მაშრიყ_მაღრიბეთის სახელისუფლო იერარქიაში კარიერისტული ზეაღსვლა სკურპულოზურად დაფიქსირებულია, თუმცა სხვადასხვა გაზეთში სხვადასხვაგვარი ტენდენციის კომენტარით, ქვეტექსტებით, თუ შეფარული ანდა სულაც აშკარა ირონიით... მაგრამ მთავარი ეს არ არის, ნეკროლოგებთან ფოტო_სურათებიცაა; ჰოდა, ერთ_ერთ ფოტო_სურათზე_ის კაცი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, შვილიშვი-ლებით გარშემორტყმული, რომელთაგან ორი უმცროსი ბაბუას მუხლებზე უზის, და იმ საერთოდ მრისხანე კაცის იერში და მზერაში რაოდენი სითბო, ალერსი, მზრუნველობა გამოსჭვივის, თავისი შვილიშვილების მიმართ რაოდენი სიყვარული იგრძნობა. და სწორედ ამან შემზარა. კაცს, რომელიც ძალ_ღონეს არ დაიშურებდა თავისი პატარების გულისთვის, ცივ ნიავსაც არ მიაკარებდა მათ, ამავე დროს შესწევდა უნარი ესოდენ წარმოუდგენლად გულბოროტი და დაუნდობელი ყოფილიყო სხვისი ბავშვების მიმართ, შეეძლო მოემოქმედა ამგვარი რამ და შემდეგ ისე განეგრძო არსებობა, თითქოსდა არაფერიც არ მომხდარაო...

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

იოანე კონსტანტინეს ძე, დრამატურგი, ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, და ტფილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო_კვლევითი სექტორის

სწავლული_მდივანი, პროფესორი.

<u>მასხარა:</u> ხოლო შემდგომ იოანე კონსტანტინეს ძე ივერიის სამხედრო_პოლიტიკურ_სახელმწიფოებრივ ასპარეზზე...

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერია. ლიხს_აღმოსავლეთი. ქართლი. ქვემო_ქართლი.

და თრიალეთის ქედის მაღალი მთისა სამხრეთ კალთაზე მდინარე ალგეთი სათავეს იღებს, და ალგეთი სამხრეთ_აღმოსავლეთის მიმართულებით მიედინება, და მდინარე მტკვარს მარჯვნიდან ალგეთი უერთდება.

ხოლო თრიალეთის ქედის იმ მაღალ მთასა ზედა ალგეთის სათავის მახლობლად_კლდე_კარის ციხესიმაგრე.

და ახლა კლდე_კარის ციხესიმაგრის საპატიმროს ბინადარი იოანე კონსტანტინეს ძე გახლავთ.

<u>მასხარა:</u> თუმც იოანე კონსტანტინეს ძის ერთ_ერთ პიესაში, ,,Uლტიმა რატიო~, დრამა ორ_ნაწილად, ერთ_ერთი მოქმედი პირი თურმე ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს.

`ყოველი ადამიანი ასე თუ ისე თავისი თავის გამომგონებელია, აქვს საკუთარი ხატი, რომელიც უმთავრესად შეიცავს კეთილ მოგონებებს, თუ, რასაკვირველია, ასეთი არსებობს მის ცხოვრებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეჩვენებოდა, რომ ცხოვრების უსამართლობა, მისი მახინჟი მოვლენები დროებითი ვითარებებია, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ადამიანებმა გაიგეს რაღაც ისეთი, რაც ჩემთვის მიუწვდომელი დარჩა, მიეჩვივნენ სულ სხვაგვარად ფიქრსა და ცხოვრებას, ამიტომაც ყველაზე შესაფერი და ბუნებრივი ადგილი ჩემთვის ციხეა.~

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> კლდე_კარის ციხესიმაგრის საპატიმრო.

და იქ პატიმრები თითებზე ჩამოსათვლელადაა.

ერთი შვიდკაციანი ჟგუფია, ერთურთს ბორკილებით გადაჟაჭვული, უცხოელები, მაჰმადიანები არიან...

და გამორჩეული მარტოხელი პატიმარი_იოანე კონსტანტინეს ძე_მარჯვენა ფეხზე ბორკილგაყრილი.

და გამორჩეული მარტოხელი პატიმარი_იოანე კონსტანტინეს ძე_თვის წილხვდომილ ბორკილს, რაღა თქმა უნდა, მარტო დაატარებს.

<u>მასხარა:</u> და იოანე კონსტანტინეს ძე თითქოსდა მუდმივპატიმარია, და მუდმივთავისუფალიც, და მუდმივახალგაზრდაც, მართლაცდა უნიკალური ბიოგრაფიისაა...

და იოანე კონსტანტინეს ძე, პროზაიკოსი.

`სანიტარული მატარებელი~, რომანი.

`ლიმონათის ქვეყანა~, რომანი.

`სამი განზომილება~, მემუარები.

და `სარეJისორო გეგმა~, რომანი.

<u>აბესალომი (ბარათს კითხულობს):</u> ,,აბესალომ, საყვარელო!

დიდი მადლობელი ვარ ყურადღებისათვის... მაინტერესებს შენი შემოქმედებითი საქმიანობა. შენი ფაქიზი სული აუცილებლად ლამაზ, ღრმა და ტკბილხმოვან შემოქმედებით ნაყოფს ააJღერებს_დარწმუნებული ვარ. დღეს ყველაზე ძვირფასი თვისება_უანგარობა და თანაგრძნობის ნიჭია, რითაც შენ გამოირჩევი და დიდად მახარებს, რომ ჩვენ მეგობრები ვართ. აბესალომ, რაღა თქმა უნდა, ძლიერ გაბნეულ ვითარებაში გწერ და იქნებ რაღაც ისე ვერ მოგწერო. ამიტომ ვწყვეტ წერას და გეხვევი ძმურად და მამაშვილურად.

იოანე კონსტანტინეს ძე.~

<u>ქ_ნი მთხრობელი</u>: ბატონებო და ქალბატონებო!

ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჯვენა მხარე, ქალაქის ჩრდილო_დასავლეთით ვაკისა და საბურთალოს სასაფლაოები, ხოლო ვაკის დასახლებისა ბოლოს_ვაკის სასაფლაომდე არ მისული, ვაკის დასახლებიდან ვაკის სასაფლაოს იქით დაბისა ბაგებისაკენ და დაბისა წყნეთისაკენ მიმავალი გზატკეცილის ხელმარჯვნივ, თუმც არა გზის პირას, არამედ შედარებით სიღრმეში, თითქოსდა განცალკევებით მდებარე აბესალომის, დავითის ძისა კარ_მიდამო.

და იქ აბესალომი, დავითის ძე და ეთერი, სხვა დავითის ასული.

<u>ეთერი:</u> აბესალომ, ასე მეგონა, ჩემთან პირველი თვითონ მოხვიდოდი... მე შენ, აბესალომ, გელოდი, შენზე ფიქრში წლებმა გაიარა, შენი დაბრუნების დღე ბედნიერ დღედ წარმომედგინა... და შენ დაბრუნდი, არადა უცნაურად დაბრუნდი.

სატახტო_ქალაქ ისპაჰანს განერიდე, და მათი უდიდებულესობისა სასახლეს განერიდე. დიახ, იქაურობას_რომ იტყვიან_ზურგი შეაქციე, ზურგი შეგვაქციე. და ივერიაში, მშობლიურ ქალაქში დასახლდი... თუმცა შენ, აბესალომ, ადრიდანვე, უცნაური ბედი გერგო... ალბათ ამიტომაც გახდი ფრთხილი და ნაკლებმიმნდობი... არადა ცხოვრების უკუღმართობამ, ნუთუ ისე გაგიყინა გული, რომ დღესდღეობით შენს ერთ დროს ფაქიზ და მგრძნობიარე არსებაში ანგარიშიანი გონება მთლიანად თრგუნავს მოსიყვარულე გულს... მზერას რად მარიდებ? ნუთუ განვლილმა წლებმა და ჩემმა გამორჩეულმა მდგომარეობამ იმდენად შემცვალეს, რომ შენთვის უცხო არსებად გადავიქეცი?... რად სდუმხარ? უარის ნიშნად თავი მაინც გააქნიე. მე აქ განა იმისთვის მოვედი, რომ გულცივი და უგრძნობი აბესალომი მეხილა? არა, ეს ჩემთვის ძნელასატანი იმედგაცრუება იქნება... ჩემთვის ერთ სიტყვასაც არ იმეტებ?... ასეთი სიჟიუტე რად გჭირდება?... იქნებ გინდა, მაგ გზით თავი შემაძულო, რათა შენთან შეხვედრა აღარ ვისურვო... ვაJკაცს ესოდენი შორსმჭვრეტელი სიფრთხილე არ შეჰფერის. ნუთუ ცხოვრებამ იმდენად დაგაძაბუნა, რომ ლაჩარი გახდი... აბესალომ, შენს ბედ_იღბალს უმადლოდე, რომ ხასიათში თუ არა, სამაგიეროდ იერში, გამომეტყველებაში, სიარულში და მიხრა_მოხრაში ბევრი შემოგრჩა იმ აბესალომისგან, რომელსაც ვუყვარდი... ჩემს გულს მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ არ ძალუძს შენი შეძულება; თუმცა გონების კარნახს თუ ავყევი, ესოდენ გულცივი შეხვედრისათვის უნდა შეგიძულო, და მაშინ... არადა სამართლიანად განრისხებულ ქალს ბევრი უსიამოვნების მოყენება შეუძლია, მით უმეტეს ჩემისთანა გამორჩეული და მაღალი მდგომარეობის მქონეს...

მეშვიდე ფრაგმენტი

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

ხოლო ქრისტიან_მართლმადიდებლების საეკლესიო კალენდრით იმ წლისა_აღმოსავლური კალენდრით ტახის წლისა_ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული_ასტრონომიული ნიშნებით კუროს ზოდიაქოში_ძველი სტილით 10

აპრილს ანუ ახლებური სტილით 23 აპრილს, და რაღა თქმა უნდა კვირა_დღეს, და იმ წლისა ბრწყინვალე კვირა_დღეს აღინიშნა.

ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჯვენა მხარე, სამეფო_უბანი.

ყოვლად_წმიდისა მარიამის სახელობისა საკათედრო ტაძარი.

სააღდგომო ღამის თევა ლიტანიობით.

მათი უწმიდესობა საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა კათოლიკოს_პატრიარქი.

და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისა ეპარქიათა მღვდელთმთავარნი, საეკლესიო სამღვდელთმთავრო იერარქიით_მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტნი და მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსნი და ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსნი.

და საქართველოს ქრისტიანულ_მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის მცხეთა_ტფილისის ეპარქიისა სამღვდელონი და დიაკონნი და საეკლესიო_მსახურნი.

და მრევლი...

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

და აღმოსავლური კალენდრით ისევ ტახის წელი,

და ასტრონომიული ნიშნებით ზაფხულის მზებუდობის დღე ანუ კირჩხიბის ზოდიაქოს პირველი დღე, ახლებური სტილით 22 ივნისი, ხუთშაბათი.

ერთა მსოფლიო ლიგაში გაწევრიანებული სუვერენული ივერიის მთავარ_ქალაქი ტფილისი, მტკვრისა მარჯვენა მხარე.

<u>აბესალომი:</u> დილაადრიანად კუთა ტბისაკენ აღმავალ ფერდობს შევუდექი.

ორი_სამი საათი ბუნების წიაღში_ტბისა სიახლოვეს გავატარე...

სახლში მობრუნებულმა, შხაპი მივიღე, ვისაუზმე.

საგარეოდ და საზაფხულოდ გამოვეწყვე და სახლიდან გამოვედი.

ბავშვობიდან ზაფხულის, სიცხის და მზის გვიანი ჩასვლისა სიყვარული

გამომყვა... ვაკისა და საბურთალოს და მუხათგვერდის სასაფლაოები მოვიარე, ძვირფას მიცვალებულთა საფლავები მოვინახულე... ხოლო ვერის უბანში, ვერის უბნისა თავში, ვერისა მყუდრო და ლამაზი სასაფლაო, და იმ სასაფლაოს შუაგულს_წმიდისა მკურნალის და დიდმოწამისა პანტელეიმონის სახელობისა ეკლესია, და იმ ეკლესიის მახლობლადვე ხომ ჩემი ნათლიისა ნეშტი დაკრძალულია. ვერისა სასაფლაოდან გამოვედი... იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის სახელობის ქუჩა გადავკვეთე, და ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილის სახელობის ქუჩით დავეშვი, ტფილისის ღვინის #1 ქარხანა... და ფასანაურის ქუჩა, და ანანურის ქუჩა... და წმიდისა მოციქულთასწორის კიევის დედოფლისა ოლღას სახელობის ქუჩა, ერთხანს ღვინის საჭაშნიკე მაღაზიასთან შევჩერდი... და წმიდისა ოლღას სახელობის ქუჩას ავუყევი, ვერისა ბაღის გასწვრივ საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების საკონცერტო დიდი და მცირე დარბაზები, ხოლო ვერის ბაღსა შინა ჭადრაკის სასახლე, ერთხანს ვერისა ბაღის შესასვლელთანაც შევჩერდი... და ისევ წმიდისა ოლღას სახელობის ქუჩა, და შოთა რუსთაველის სახელობის მოედანი, და ეგრეთ წოდებული გარეთ_უბანი_არადა ქალაქის შუაგული: შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტზე ისევ და ისევ გავიარ_გამოვიარე... მთაწმინდის უბანშიც ვიხეტიალე, და მამადავითის მთის აღმოსავლეთ კალთას ავუყევი, და მის შუაგულს_წმიდისა და ღირსის საეკლესიო მამისა დავით გარესჟელის სახელობისა ეკლესია, და იმ ეკლესიასთან შემომაღამდა... და იქვე ეკლესიისა ეზო_მიდამოში ჩამეძინა, და ვითომდა: ვემსგავსე კაცს, რომელიც დასახლდა მთასა ზედა და საფლავთა შორის, მღვიმესა შინა... და მღვიმიდან გამოსული ქვებსა და ლოდებს ეხეთქებოდა, და გაჰყვიროდა... და ამიტომ ბორკილებით და ჟაჭვებითაც შეჰკრეს... მაგრამ განთავისუფლდა, და ისევ დასახლდა მთასა ზედა და საფლავთა შორის, მღვიმესა შინა... და მღვიმიდან გამოსული ისევ და ისევ...

<u>ბ_ნი მთხრობელი:</u> ხოლო ბიბლიაში, ახალ_აღთქმაში, წმიდა_ოთხთავში წერია.

`ხოლო თავადმან ჰკითხა იმ კაცს: რა არის შენი სახელი? იმ კაცმა თქვა: `ლეგიონი~; რამეთუ მასში ბევრი უწმიდურება შესული იყო.

ხოლო მათგან მოშორებით იყო ტახთა დიდი ჟოგი; და თავადსა უწმიდურებანი სთხოვდნენ, თუ განდევნის მათ იმ კაცისგან, ნება დართოს მათ შეერიონ ტახთა ჟოგს. თავადმან ნება დართო მათ.

უწმიდურებანი, გასულნი იმ კაცისგან, შეერივნენ ტახთა ჟოგს; და აჰა, ტახთა დიდი ჟოგი გადაეშვა ციცაბო კლდიდან ტბასა...~[1]

---

[1]Lლუკასაგან სახარება 8, 30, 32, 33.

ეპილოგი

<u>მასხარა:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

აბესალომ დავითის ძე ისევ გადაიკარგაო, უგზო_უკვლოდ გადაიკარგაო, გაუჩინარდაო...

თუმც აბესალომ დავითის ძემ დატოვა.

,,ნათელი და ბნელი~.

რომანი პიესის სახით ჩაწერილი.

რომანი პროლოგით და შვიდ ფრაგმენტად.

<u>მურვანი:</u> თავის დროზე, ყრმამ, ყმაწვილკაცმა, სამოღვაწეოდ ურთულესი ასპარეზი ავირჩიე_სახელმწიფო სამსახურში შევედი, და მაშრიყ_მაღრიბეთის სახელისუფლო იერარქიის პერიფერიულ დაბალ საფეხურზე მდგომი, აღმავალ გზას შევუდექი; ახლა გახსენებაც არ მინდა, თუ რაოდენი დაბრკოლებისა და სიძნელეების გადალახვა მომიწია, მაგრამ ჩემი ჟაფა დაფასდა; ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერა გავიკეთე; ოცდაცამეტი წლისა გახლდით, როს მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური ხელისუფლების სათავეში მოვექეცი. ხოლო მომდევნო წლები ჩემი ძალაუფლების განმტკიცებას მოვანდომე... დიახ, მათი უდიდებულესობა მაშრიყ_მაღრიბეთის შაჰინშაჰი_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯომარე_და მაშრიყ_მაღრიბეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გახლავარ. ხოლო ავსულ_ჭინკებს მიმსგავსებული ვითომ ორფეხა არსებები, ყურებდაცქვეტილები, ჭორ_მართლისა გამავრცელებლები, თვით ჭორიკანები, ენის მიმტან_მომტანები, და მრავალმხრივი სიძულვილის მთესველები, ხოლო ოფიციალურად ახლა მაშრიყ_მაღრიბეთის მსტოვრებად სახელდებულები, და მათ მიერ გაბმული ურიცხვი აბლაბუდა, და მათ მიერ თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე აღმართული თითქოსდა ყოვლისმზირალი სარკეები, რეალურად საუკუნეობრივი მემკვიდრეობით აკი გადმომეცა_და ჩემებური ქმნილება არც არის_და მათ ამის გამო არც ვენდობი. და მაშრიყ_მაღრიბეთის მსტოვრებად სახელდებულებს ისე აღვიქვამ, ვითომ ჩემი ხელქვეითები არც არიან, არამედ მსტოვართა მუდმივ მსოფლიო უხილავ სინდიკატს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტობრივად ემორჩილებიან და ემსახურებიან, და იმ მუდმივი მსოფლიო უხილავი სინდიკატის სხვადასხვა ამა თუ იმ ქვედანაყოფის ერთგული ჟარისკაცები არიან...

ჰოდა, მაშრიყ_მაღრიბეთის პოლიცია გავაძლიერე, მაშრიყ_მაღრიბეთის პოლიცია წინ წავსწიე_მაშრიყ_მაღრიბეთის მსტოვრებად სახელდებულებთან ძალთა გაწონასწორებისათვის_და ჩემი მფარველობა მაშრიყ_მაღრიბეთის პოლიციამ თავის მხრივ შეიფერა, შეიშნო, და მაშრიყ_მაღრიბეთს პოლიციელები მართლაცდა კალიებივით მოედვნენ... და ჩემი აუარებელი ქვეშევრდომი ისე მყავს გათიშული და დაშინებული, რომ ჩემი ძალაუფლების წინააღმდეგ პირის შეკვრის მცდელობაზე ლაპარაკიც სასაცილოა... და მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზეც აკი იძულებული არიან ანგარიში გამიწიონ და ჩემი რიდი ჰქონდეთ... წესით ახლა შვებით უნდა ამომესუნთქა და სრულად დავმტკბარიყავი ჩემ მიერვე მოპოვებული დიდებით და ყოვლისშემძლეობით... არადა, დროდადრო, ჩემს თავს მაინც ვეკითხები: მე ვინ ვარ, რისთვის ვცოცხლობ, ვარსებობ, ვოცნებობ, ვიბრძვი, ვიღწვი, რაოდენი ძალ_ღონე, მონდომება, შეუპოვრობა გამომიჩენია, და რისთვის ყოველივე ეს!?... ჩემი და ეთერის შვილებს_ჩვენს შვილებს_ჩვენს ასულებს_ჩემთან დამოკიდებულებაში სითბო, სიახლოვე და უშუალობა არასდროს არ უგრძვნიათ, ჩვენი ოთხივე ასულის მიმართ ცივი და უგულო ვარ... და აჰა, ჩემი ცხოვრებისა მონაგარი, ჩემ მიერ ჩადენილ ბოროტებათა სიმძიმე მევე დამაწვა... და თუმცა მე გაუხარებელი ვარ, განა ჩემი ბოროტების მსხვერპლთ ამით რამე ეშველება... და ჩემი ცხოვრება თუგინდ სხვაგვარად წარმემართა, მაინც გაუხარებელი ვიქნებოდი... ამ გზას, რომ არ დავდგომოდი, ამდენ სიავეს ვერ ჩავიდენდი, მაგრამ ჩემდათავად ბედნიერი არც მაშინ ვიქნებოდი, და ჩემი განუყრელი თანამგზავრი ჭმუნვა_ურვა თუ ნაღველ_შხამი იქნებოდა, გამუდმებით ვიდარდებდი_ადამიანური ამგვარი დიდების უმაღლეს მწვერვალებზე, ვაი, რად არ ვარ_მეთქი... მრავალი ბოროტების სათავე ის არის, რომ ადამიანებს ჩვენ_ჩვენი საქმიანობის მნიშვნელობაზე გადამეტებული წარმოდგენა გვაქვს, თითქოსდა ადამიანის ბედნიერებას ყოველგვარი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს, თუმც ადამიანი თავის საქმიანობის მსახური თვითვე შეიქნა, და ამდენად ადამიანისთვის საქმე კი არ კეთდება, არამედ საქმეს ადამიანი ეწირება... ჩემი სახელი უკვდავი დარჩება და მერმისშიც მე მომიხსენიებენ, როგორც დიდ ადამიანს, ძეგლებს დამიდგამენ, და ქალაქებს და დაბებს და სოფლებს ჩემს სახელს უწოდებენ, და მე ეს პატივი და დიდება!?... და თუ ხალხის თვალში მე ვარ ადამიანური დიდებისა, ძლევამოსილებისა და ყოვლისშემძლეობის უმაღლეს მწვერვალზე მდგომი უდიდესი პიროვნება, რომლის ნება_სურვილს დაუმორჩილებია უზარმაზარი სახელმწიფო და მისი მოსახლეობა, თუ ხალხის თვალში მე ასეთ საარაკო დევგმირად ვჩანვარ, სამაგიეროდ ღმრთისა წინაშე რას წარმოვადგენ? ღმრთისა, უხილავისა და დაუსაბამოსი, შემქმნელისა სამყაროსი... ღმრთისა, რომელიც არც მახსენდება ჩემი ბობოქარი მოღვაწეობისას და რომლის მეუფება ახლა მხოლოდ ჩემ მიერ ჩადენილ ცოდვათა მძიმე ტვირთმა მომაგონა...

ქ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

და საყოველთაოდ ხმა გაავრცელებინეს: მათ უდიდებულესობას მაშრიყ_მაღრიბეთის შაჰინშაჰს_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯომარეს_და მაშრიყ_მაღრიბეთის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალ მურვან დავითის ძეს თვისი ისევ გადაკარგული, უგზო_უკვლოდ გადაკარგული, გაუჩინარებული ნახევარძმის აბესალომ დავითის ძის აჩრდილისა დროდადრო

ხილვები გულს უმძიმებსო, გონებას უმღვრევსო, სულს უფორიაქებსო...

<u>მასხარა:</u> მათი უდიდებულესობისა სულიერი ამგვარი მდგომარეობა, ვნებათა ამგვარი ღელვა, თუნდ დროებითი!ᲦᲐ...

ეს ირეალობაა, აბსურდია, ილუზიაა, რომელიც თეატრის სცენიდან მაღალნიჭიერი მსახიობის მიერ განსახიერებული, თეატრის მაყურებელთა დარბაზში დამსწრეთათვის შთამბეჭდავი იქნებოდა; მაგრამ ისტორიულ რეალობაში, და თუნდ ყოფით, ყოველდღიურ რეალობაში, მათი უდიდებულესობისა სულიერ ამგვარ მდგომარეობას, ვნებათა ამგვარ ღელვას, თუნდ დროებითს, ფსიქოლოგიური ან სხვა რამ ლოგიკური მოტივირება არ გააჩნია, თავს ნუ მოვიტყუებთ...

<u>ქ ნი მთხრობელი:</u> ბატონებო და ქალბატონებო!

თავის დროზე მათმა უდიდებულესობამ მაშრიყ_მაღრიბეთის შაჰინშაჰმა_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯომარემ_და მაშრიყ_მაღრიბეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა მურვან დავითის ძემ მაშრიყ_მაღრიბეთის სატახტო_ქალაქის და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქის ისპაჰანის ერთ_ერთ განაპირა უბანში თვისი მეუღლისათვის `ბროლის ციხე~ საგანგებოდ ააშენებინა.

და მათი უდიდებულესობისა მეუღლე სწორედ_რომ `ბროლის ციხე~_ში გარდაიცვალა.

თუმცა საყოველთაოდ ხმა გაავრცელებინეს: მათი უდიდებულესობისა მეუღლემ თავი მოიკლაო...

<u>მასხარა:</u> მათი უდიდებულესობის მეუღლისა თვითმკვლელობა!ᲦᲐ...

ეს ირეალობაა, აბსურდია, ილუზიაა, რომელიც თეატრის სცენიდან მსახიობის მიერ განსახიერებული, თეატრის მაყურებელთა დარბაზში დამსწრეთათვის შთამბეჭდავი იქნებოდა; მაგრამ ყოფით, ყოველდღიურ რეალობაში, მათი უდიდებულესობის მეუღლისა ამგვარ თვითმკვლელობას, ფსიქოლოგიური ან სხვა რამ ლოგიკური მოტივირება არ გააჩნია...

თუმცა ფოლკლორული პირველწყაროები ასე და ამგვარად გვიამბობენ.

„თავის დროზე აბესალომმა მზისადარ ეთერს თვისივე ხელით მიართვა_და იქნებ სულაც ნიშნად ანუ ბელგად მიართვა_ოქროს დანა.“

,,და ეთერი, მას აქეთ, ყოველთვის, იმ, ოქროს დანას თან ატარებდა...“

,,ჰოდა, ეთერმა სწორედ_რომ ის, ოქროს დანა მარცხენა ძუძუსთან დაიცაო! ეთერმა თავი მოიკლაო...“

ბ_ნი მთხრობელი: ბატონებო და ქალბატონებო!

მათი უდიდებულესობისა მაშრიყ_მაღრიბეთის შაჰინშაჰის_მაშრიყ_მაღრიბეთის ცენტრალური_კანცელარია_კომიტეტის პრეზიდიუმ_ბიუროს თავმჯომარისა_მაშრიყ_მაღრიბეთის შეიარაღებული ძალების_სახმელეთო ჟარების, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჟარების, სამხედრო_საჰაერო შენაერთების, ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჟარების, სამხედრო_საზღვაო ფლოტის, მატერიალურ_ტექნიკური მომარაგების და უზრუნველყოფის ზურგის სამსახურის, სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის, სპეციალური დანიშნულების ჟარების, სასაზღვრო ჟარების, და შინაგანი ჟარების_გაერთიანებული სარდლობის უმაღლესი მთავარსარდლისა_და მაშრიყ_მაღრიბეთის გენერალ_ფელდმარშლის მურვან დავითის ძისა ნება_სურვილით, მაშრიყ_მაღრიბეთში, მათი უდიდებულესობისა დამქაშებმა_იდეოლოგიის და აგიტაციის და პროპაგანდის სახელმწიფო მძლავრი სამსახურის მეშვეობით_იმპერიალისტური სულისკვეთება თანდათან თითქმის საყოველთაოდ დაამკვიდრეს... და დეტერმინულ_პროვიდენციულ_მესიანური შენიღბული იმპერიალიზმის დოქტრინა დააგვირგინა კერპთაყვანისმცემლობამ, ცოცხალი კერპის ფანატიკურმა თაყვანისცემამ... და ის ცოცხალი კერპი_რაღა თქმა უნდა_თვით მათი უდიდებულესობა გახლდათ.

და მათი უდიდებულესობისა დამქაშები მათი უდიდებულესობისა ქვეშევრდომებს, ყოველთვის_დღენიდაგ, და დღედაღამ_და ყველგან_ქალაქებში და დაბებში და სოფლებში_დიდი რიხით შთააგონებდნენ და შეახსენებდნენ, რომ მათი უდიდებულესობისათვის სიცოცხლე და სიკვდილიც თითოეული მათგანის ცხოვრების დანიშნულებაა, და მათი არსებობის მიზანი და გამართლებაც...

ხოლო მათმა უდიდებულესობამ მაშრიყ_მაღრიბეთის სატახტო_ქალაქ და სპარსეთის ფედერაციის მთავარ_ქალაქ ისპაჰანში, და მათ კუთვნილ სასახლეში, დიდებულ ტახტზე მჯდომმა ფეხი ფეხზე გადაიდო... და თვისი იმპერიის შემყურე, თითქოსდა მამაშვილურმა თავმომწონეობამ და სიამაყემ შეიპყრო, ფარულ_მალული სიხარულით აივსო... დიახ, შინაგანად ბედნიერი გახლდათ, თუმც უთქმელად, გაუმ-ხელელად, გაუმJაღვნებელად ბედნიერი, არადა მსოფლიოში არ ეგულებოდა თუგინდ ერთი ადამიანი, ვისაც თვის ამგვარად უცნაურ ბედნიერებას გაანდობდა, მიახვედრებდა, გაუზიარებდა...

ხოლო ბიბლიაში, ძველ_აღთქმაში, ხელმწიფეთა და მეფეთა ოთხწიგნეულის მესამე წიგნში, მღვდელს და მწიგნობარს ღმრთივშთაგონებულ ეზრას დაუწერია.

`და უფალმა ღმერთმა უთხრა მას: იმის გამო, რომ შენი ხელმწიფობისას ასე ხდება, და ჩემი აღთქმა და ჩემი მცნებანი შენ არ დაიცავი... მე ამოვაგდებ შენს ხელმწიფობას...

ოღონდ შენს სიცოცხლეში მე არ გავაკეთებ ამას...

ხოლო სხვა ამბები მისეული და ყველაფერი, რასაც იგი აკეთებდა, და სიბრძნე მისი აღწერილია წიგნში საქმეთა მისთა.

და დრო ხელმწიფობისა მისისა... იყო ორმოცი წელი.

და განისვენა მან... და დამარხეს იგი...~[1]

და ბიბლიაში, ახალ_აღთქმაში, წმიდა_ოთხთავში წერია.

`...და დაემსგავსოს იგი კაცს უგონოს, რომელმაც ააშენა თვისი სასახლე ქვიშაზე.

და წამოვიდა წვიმა, და გადმოვიდნენ მდინარეები, და დაუბერეს ქარებმა, და ეკვეთნენ იმ სასახლეს, და ის სასახლე დაეცა, და იყო იმ სასახლისა დაცემა ფრიად დიდი.~[2]

---

[1] ხელმწიფეთა და მეფეთა ოთხწიგნეულის მესამე წიგნი 11, 11,12, 41_43.

[2] მათესაგან სახარება 7, 26, 27.